რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 24 თებერვალი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 45 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 45

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ეკა და დიომიდე, ძმები: სევერიანე და სიმონ, დები: ფადია, ჟულიეტა, ნინა და მარუსია, რძლები: აკვირინე, ნინა, სიძეები: ლევანტი ივლიანის ძე კალანდაძე, კოლია საჩინოს ძე არაბიძე და ილიკო ელიზბარის ძე ქერქაძე, დისწულები: ვანო, ალიოშა, სერიოჟა, ქეთევან, თამარა კალანდაძეები და ტოგო არაბიძე, ბიცოლა კალოსტინე. ბიძაშვილები: კაპიტონ—მეუღლითურთ, გიორგი, პელაგია და მადია კალანდაძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უძვირფასესი, ჯან-ღონით სავსე წითელ გვარდიელის

ბესარიონ დიომიდეს ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება, რკინის-გზის საავადმყოფოდგან შაბათს 24 თებერვალს, დილით 10 საათზე. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ირაკლი იოსების ძე შოთაძე პატარა ვაჟით ოთარით, აუწყებს ნათესავთ, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ კვირას, 25 თებერვალს, ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულის, მათთვის ყველაზედ უსაყვარელესის, და მუდამ დაუვიწყარი

ალექსანდრა (საშა) სოლომონის ასულის

შოთაძის

სულის მოსახსენებლათ.

გულდათუთქულნი მშობლები ნატალია ლეონტის ასული და სოლომონ პორფირეს ძე, ძმა ალექსანდრე სოლომონის ძე და და ეკატერინე სოლომონის ასული ოსიძენი აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და მეგობრებთ, რომ კვირას, 25 ამა თებერვლის, ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულის, მათი უსაყვარელესი შვილის და დის,

ალექსანდრე (საშა) სოლომონის ასულის შოთაძის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება 9 საათ. პანაშვიდი 11 საათზე.

ეკატერინე დიონისეს ასული იმედაშვილისა, შვილი ალექსანდრე გიორგის ძე იმედაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 25 თებერვალს დღის 12 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

გიორგი ესტატეს ძე იმედაშვილის

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ეგვიტო იესეს ასული, შვილები: არტემ, ილარიონ, მიხაკო, სილოვან და ოლღა, რძლები: ელენე, აკვირინე, ლოლა და ელენე, სიძეები: აკაკი ჩავლეიშვილი, გიორგი და მიხელ რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასეს

ნიკო თედორაძის

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება დღეს 24 თებერვალს, სოფ. იანეულში (გურია).

უზომო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე მელიტონ მიხეილის ძე და შვილი ტატიანა მელიტონის ასული სოსელია, დაი მარიამ მიხეილის ასული, სიძე სიმონ საჩინოს ძე წიქორიშვილები, მამა ივანე სიმონის ძე, დედა სოფიო სიკოს ასული ჩოჩიები, ძმები და დები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას, 25 თებერვალს თფილისში ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი—უდროვოთ გარდაცვალებულის

მარგარიტა ივანეს ასული სოსელიას

სულის მოსახსენებლათ. 2—1

თავდაცვის კომისია აცხადებს სოფლების საყურადღებოთ,

რომ ნურავინ ჩამოდის თფილისში იარაღის მისაღებათ

გამოგზავნონ მხოლოდ თხოვნები ფოსტით, შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Бывшій—дворецъ, Комис. общест. безопасности. არავითარი იარაღი არ მიეცემა არავის მანამდის, სანამ კომისიისაგან გამორკვეული არ იქნება სად რამდენი არის ასეთი საჭიროება.

3—2 თავდაცვის კომისია.

სახაზინო თეატრი

კვირას, 25 თებერვალს რევოლიუციის წლის თავის აღსანიშნავად შესდგება

კონცერტ-მიტინგი

(რომლის შემოსავლის ნაწილი გადაიდება სახალხო უნივერ. ფონდის სასარგებლოთ)

მიტინგზე სიტყვებს წარმოსთქმენ შემდეგი ორატორები: გაზ. „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციის წევრი—სტან. ვოლსკი, დამფუძნებელ კრების წევრი ა. ზურაბოვი, ბაქოს გუბერნიის შრომის კომისარი ისიდორე რამიშვილი და ამიერ-კავკასიის კომისარიატის წევრი ა. ჩხენკელი.

თემა: „ზავის სასარგებლოთ ბრძოლის შედეგი“, „რა მოგვცა რევოლიუციამ“ და სხვა.

საკონცერტო განყოფილებაში

მონაწილეობას იღებენ: ქ-ქ სტეპკო (სიმღერა), ტიზენგაუზენი (დეკლამაცია). ბ.ბ. ზალიპსკი (სიმღერა), კოპელნიცკი (ვიოლონჩელი), ლეონიკი (სკრიპკა), ნიკოლსკი (სიმღერა), და პოლიაევი (სიმღერა), როიალის დამკვრელი მ. გ. ანდრონიკოვ-ვასილიევი.

დასაწყისი დღის 12 საათზე.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება სახაზინო თეატრის კასაში. 2—1

სეიმი და რევოლიუციონერი ცენტრი

ამიერ-კავკასიის სეიმი უკვე შეუდგა მუშაობას. მას მრავალი დიდი და თავსატეხი საკითხი აქვს გადასაწყვეტი. სეიმი ან მოახერხებს ამ კითხვების სასურველათ გადაჭრას და ქვეყნის განახლება უზრუნველყოფილი იქნება, ან ის ცხოვრების ასპარეზიდან გაქრება და ჩვენ ანარქიის მსხვერპლი გავხდებით. ზავის შეკვრა, სასურსათო გასაჭირის თავიდან აშორება, გლეხების და მუშების საარსებო ინტერესების დაკმაყოფილება, ეროვნულ ურთიერთობის მოგვარება და ამ გზით ანარქიის მოსპობა და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება—აი ის დიადი საქმე, რომელიც სეიმმა უნდა გააკეთოს.

სეიმი წარმომადგენლობითი დაწესებულებაა. პროპორციონალურ საარჩევნო წესის გამო, სეიმში თავმოყრილია საზოგადოების ყველა ჯგუფები, ყველა მიმდინარეობას, თუ კი მას ოცი ათასი მიმდევარი მაინც მოეპოება, იქ საკუთარი წარმომადგენელი ყავს. ერთი სიტყვით, სეიმი გამომხატველია საზოგადოების, ის ჩვენი ცხოვრების სარკეა. ცხოვრება კი ჭრელი და მრავალფეროვანია. საზოგადოება გაყოფილია ორს უმთავრეს კლასათ—ეს ორი კლასია ბურჟუაზია და პროლეტარიატი, კლასი გაყვლეფილი და კლასი გამყვლეფელი. მაგრამ ამ ორ მთავარ კლასს შორის აღმართულია მრავალი გარდამავალი კლასები და ჯგუფები—ფეოდალები, გლეხები, წვრილი ბურჟუაზია და სხვა.

სეიმი ამ ჭრელ საზოგადოებას ემყარება, მისი ინტერესების და იმედების გამომხატველია და როგორც საზოგადოება ჭრელი, ისევე ჭრელია სეიმის ფიზიონომიაც. ის სხვადასხვა ჯგუფების დ კლასების ურთიერთობის გამოხატულებაა. ამიტომ მას არ შეუძლია ერთი რომელიმე კლასის სამოქმედო ხაზი ბოლომდის სრულის სისწორით გაატაროს. ეს ნაკლი მისი ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისებაა.

სულ სხვაა რევოლიუციონური ცენტრი—ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრი. ის რევოლიუციის პირმშო შვილია, რევოლიუციონურ კლასთა ნებასურვილების გამომხატველია. ამ მხრით ის ერთფეროვანი ორგანოა.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ერთფეროვნება და მთლიანობაც შედარებითია, რადგან ეს ცენტრიც სამი ელემენტისგან შესდგება. ამათში ყველაზე უფრო რევოლიუციონურია, რასაკვირველია, ის ფრთა, რომელიც პროლეტარიატის წარმომადგენლებისაგან შესდგება. ცხადია, თანამშრომლობის პრინციპი რამდენიმეთ აქაც სავალდებულოა, ხოლო თანამშრომლობა გულისხმობს დათმობას და ურთიერთშორის შეთანხმებას.

რაც უნდა იყოს, მუშათა სალდათთა და გლეხთა საბჭოების ცენტრი, უფრო ერთფეროვანი დაწესებულებაა, ვინემ სეიმი. ამიტომ ცენტრი უფრო მედგრათ და თანდათანობით ატარებს რევოლიუციონურ დროშას.

რევოლიუციის დასაწყისში ყოველთვის ასეთი ცენტრები უდგანან მოძრაობას სათავეში. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან დაინტერესებული კლასები ანგრევენ ყველაფერს, რაც მათ წინ ეღობება, ამ მხრით ახორციელებენ იმის მაქსიმუმს, რისიც განხორციელება შეიძლება. მაგრამ როცა ნგრევის პროცესი ასე თუ ისე დამთავრდება და ახალ სამოქალაქო ცხოვრების შენებას ვიწყებთ, აქ მდგომარეობა იცვლება და სცენაზე გამოდის დაწესებულება, რომელიც საზოგადოების ყველა ჯგუფების წარმომადგენელია.

ლაპარაკიც მეტია იმაზე თუ რომელი დაწესებულება უფრო რევოლიუციონურია—ცენტრი თუ სეიმი.

ზოგიერთები სწორეთ ასე სვამენ საკითხს. მაგრამ ამ უცილობო დებულებიდან მათ სრულიათ უსაფუძვლო დასკვნა გამოყავთ. ისინი ამბობენ: ცენტრი რევოლიუციონური ორგანოა, მაშასადამე ყოველი დიდი კითხვა ჯერ აქ უნდა დაისვას და გადაიჭრას და შემდეგ სეიმს გადაეცესო.

საკითხის ასე დაყენება სრულიათ ეწინააღმდეგება სეიმის არსებას, ეს ძირს უთხრის წარმომადგენლობით დაწესებულების იდეას.

მართლაც, როგორ შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატმა მართოს ქვეყნის ბედი, რომელიც სხვადასხვა ელემენტებისაგან შესდგება. კერძოთ, ამიერ-კავკასიაში, კიდევ უფრო შეუძლებელია ცენტრს ასეთი საქმე დაეკისროს, რადგან, საუბედუროთ, ამიერ-კავკასია, თფილისის და ქუთაისის გუბერნიებს და ქ. ბაქოს გარდა, მოკლებულია მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. ვინც მაინც ფიქრობს, რომ საქართველოს საბჭოებს შეუძლიათ მთელი ამიერ-კავკასიის ცხოვრება მოაწყონ, ის დიდ გულუბრყვილობას იჩენს და თანაც დემოკრატიულს პრინციპებს ღალატობს: მას გონია, რომ ნაწილს შეუძლია მთელზე იბატონოს. ეს იგივე ბალშევიზმია. განა პეტროგრადის ბალშევიკებმა არ განიზრახეს ლენინ-ტროცკის მთავრობის სახით სოციალიზმის დამყარება? ამას რა მოყვა, ჩვენ კარგათ ვიცით: ბალშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს და ანარქიის გაძლიერება გამოიწვიეს.

მაშ ხომ არ უნდა მოკვდეს საოლქო ცენტრიო? კითხულობენ სხვადასხვა მხრიდან.

ცენტრი არა თუ არ უნდა გაუქმდეს, პირიქით, მან კიდევ უფრო გააძლიეროს და გააღრმავოს თავისი მოღვაწეობა. ცენტრმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ მუშათა და გლეხთა რაზმები შეაკავშიროს. გლეხთა ცენტრი ამ ბოლო დროს უმოქმედობას იჩენს. საჭიროა გლეხთა დეპუტატების ახალი არჩევნები მოხდეს. საჭიროა გლეხთა ორგანიზაციები მუსულმან და სომხის პროვინციებშიაც მოეწყოს. და თუ ცენტრი შესძლებს მუშათა და გლეხთა საბჭოებით მოფინოს ამიერ-კავკასია, შექნება ისეთი ორგანო, რომლის არსებობა საკმაო გარანტია იქნება იმისთვის, რომ სეიმმა მას ანგარიში გაუწიოს.

სეიმს კი ყურისმგდებელი ესაჭიროება. ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ საზოგადოებრივ კლასთა და ჯგუფთა ურთიერთობის საფუძველზეა აგებული და ამიტომ საზოგადოებრივ ძალთა ჭიდილი მისი ორგანიული, თანდაყოლილი თვისებაა. მუშათა და გლეხთა მჭიდრო ორგანიზაციები ამ ბრძოლაში მას დიდ სამსახურს გაუწევენ, მაგრამ არა ფორმალურათ საქმეში ჩარევით და არა მისი ავტორიტეტის დაცემით.

პირიქით, ცენტრი უნდა ფრთხილათ მოეპყრას სეიმის ავტორიტეტს. მან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოსთხოვოს სეიმს ანგარიში, როცა ეს უკანასკნელი დემოკრატიის ინტერესების წინააღმდეგ გადასდგამს ნაბიჯს და რამდენათ სერიოზული იქნება სეიმის შეცდომა, იმდენათ მედგარი უნდა იყოს ცენტრის ბრძოლა. საერთოდ კი ცენტრი დახმარებას უნდა უწევდეს სეიმის მარცხენა ფრთას და კი არ უნდა ებრძოდეს სეიმს, როგორც მთელს. ხოლო თუ ის სეიმს შეებრძოლება, ეს იქნება თვით სეიმის იდეის უარყოფა.

ამიერ-კავკასიის ეკონომიური მთლიანობა

მრეწველობა-მეურნეობის განვითარებამ ამიერ-კავკასიის ეკონომიური მთლიანობა წარმოშობა და სხვადასხვა კუთხეები დიდი ხანია ამ გზით ერთმანეთს გადაებნენ.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ამიერ-კავკასიის კარჩაკეტილ, ნატურალურ წარმოებას კარი შეეხსნა და საქონლის წარმოებამ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა.

დღეს აქ ვერ შეხვდებით ისეთ მივარდნილ კუთხეს, ისეთ ჩამორჩენილ მხარეს, სადა რომელიმე ოჯახი თავის ოჯახურ გართულებულ მოთხოვნილებას საკუთარ ნაწარმოებით იკმაყოფილებდეს და ნაყიდი საქონელი არ სჭიროდეს. თვითეული კუთხე, თუ სოფელი, საქონლის დამუშავებას აწარმოებს და იგი ბაზარზე გააქვს გასაყიდათ. სამაგიეროთ, ამ ნაწარმოებიდან აღებული ფულით ყიდულობს იმას, რაც მას სახლში არ მოეპოვება.

ასეთ წარმოების ურთიერთობა, რაც დრო გადიოდა, ფართო ხასიათს ღებულობდა და სხვადასხვა კუთხეები ერთ მთლიან ეკონომიური რგოლებით გადიჯაჭვნენ. მათ შორის ეკონომიური კავშირი განმტკიცდა და შრომის განაწილებამ, ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლამ, ფართო ხასიათი მიიღო. წარმოიშვა სამრეწველო ცენტრები, განვითარდა მეურნეობა და სოფელი და ქალაქი ერთი მეორეს გადაება. დასახელებულმა ურთიერთობამ კი წარმოშობა თანამედროვე ეკონომიური კატეგორიები, თანამედროვე სოციალური კლასები. ერთის მხრით ვხედავთ ბურჟუაზიას და მსხვილ მემამულეებს, მეორეს მხრით კი—ქალაქების დაქირავებულ, დღიურ ქირაზე მომუშავე პროლეტარებს და სოფლის გაღატაკებულ გლეხკაცობას.

აღიმართნენ და გაჩნდენ ერთი-მეორის მოწინააღმდეგე კლასები: კლასი გამყვლეფელი და კლასი გაყვლეფილი. მათ შორის დიდიხანია გაჩაღდა ეკონომიურ ნიადაგზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და თითეული კლასი თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ეტრფის. დღეს აღარ არსებობს თათრის, სომხის, ქართველის თუ სხვა რომელიმე ერის ბურჟუაზია—თუ მემამულე, რომლებიც ერთგვარ ინტერესებით არ იყვნენ აღჭურვილნი და საერთო კლასობრივ პრივილეგიების განმტკიცებას არ მოითხოვდენ.

არც გაყვლეფილი კლასები დარჩენ უორგანიზაციოთ. თანამედროვე ცენტრების აღორძინებამ სხვადასხვა ერების მუშებს სხვადასხვა ცენტრებში თავი მოუყარა და ამათმა ერთად პარტიულათ თუ პროფესიონალური კავშირების სახით მჭიდრო ორგანიზაციები შექმნეს და კლასობრივათ დაირაზმნენ. მათ გვერდში ამოუდგენ ამიერ კავკასიის მიწას მოკლებული და გაღატაკებული გლეხკაცობა და მოწინავე ავანგარდ—მუშათა კლასთან დაკავშირდა.

ასეთი კავშირი მჭიდროთ და ფართოთ დამყარდა ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხ-კაცობის შორის და ეს მთავარი გაღატაკებული კლასები ისტორიული მტრის წინააღმდეგ შეკავშირდენ. ამ ნიადაგზე მათ მრავალი მსხვერპლი გაიღეს, დიდი ეკლიანი გზა გაიარეს. ბოლოს რუს. დიდი რევ. შემდეგ ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხკაცობას საშუალება ეძლევათ თავიანთ ისტორიული, ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნა დაიკმაყოფილონ და დემოკრატიული წყობილება დაამყარონ. ახლა ესენი სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას არავის დაუთმობენ. მით უმეტეს, თუ მათ ასეთ თავისუფლებას გარედან ემუქრებიან. განსაკუთრებით ისეთი სახელმწიფო, როგორიც არის ოსმალეთი. თათრების, სომხების, ქართველების მუშები და გლეხკაცობა ნახევრათ დესპოტიურ მთავრობას ნებას არ მისცემს ოსმალეთის ფაშები კისერზე წამოისვან და რევოლიუციონურ მართველობაზე ხელი აიღონ. შრომის პირობები მუშათა მინიმუმპროგრამა მტკიცე ნიადაგზე უნდა დადგეს. გლეხკაცობას მამული უნდა მიეცეს და ამ გზით ამიერ კავკასიის მუშები და გლეხკაცობა დიდ პრობლემას გადასწყვეტენ. უნდა აქვე აღინიშნოს, რომ არც ამიერ კავკასიის ბურჟუაზია იქნება მომხრე პრიმიტიულ და ეკონომიურათ უკან ჩამორჩენილ სახელმწიფოს ფარგლებში დარჩეს და მთელ ბურჟუაზიულ წარმოებას ფეოდალურ და დესპოტიურ სახელმწიფოს უღელი დაადგას. შეიძლება დიდ მემამულეების პირდაპირი ინტერესები მოითხოვდეს ოსმალეთის ამიერ-კავკასიაში შემოსვლას, მაგრამ ეს კლასები შედარებით დიდძალ გლეხკაცობასთან რიცხვით უმცირესობაა დ საზოგადოებრივ ურთიერთობაში დიდ როლს ვერ ითამაშებენ. ამიერ-კავკასიის უმიწაწყლო გლეხკაცობა—განურჩევლად ეროვნებისა ისე მრავალია, ესენი იმდენათ შეგნებულები არიან, რომ მათთვის მიწის საკითხის გადაჭრას დაუყოვნებლივ მოითხოვენ. აქ მათ კარგათ იციან, რომ ოსმალეთის დესპოტები მიწის საკითხს ძველ პირობებში დასტოვებენ.

აი ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ ელემენტებს მჭიდროთ აკავშირებს და მათ პოლიტიკურ მთლიანობას ვერავინ ვერ დაშლის. მით უმეტეს, რომ ამიერ-კავკასიის გლეხკაცობამ შექმნა რევოლიუციონური ცენტრები, რევოლიუციონური ორგანოები, რომლის გარშემო ხალხის დიდი უმრავლესობა თავს იყრიან და აქეთ არის მთელი მათი ყურადღება მიმართული. ამ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, მისი პოლიტიკური თავისუფლება ძლიერი საშუალებაა, რომელიც ფართო ხალხის ეკონომიურ მოთხოვნილებაზე იქნება დამყარებული. ეკონომიური ურთიერთობა ის მთავარი ნიადაგია, რომელიც მთელ ხალხს მჭიდროთ აკავშირებს, პოლიტიკურ ერთეულათ აქცევს და ამ ერთეულის დაშლა არავის არ შეუძლიან. ამიერ-კავკასიის ეკონომიური მთლიანობა ამიერ-კავკასიის ხალხის პოლიტიკურ მთლიანობას მოითხოვს და რევოლიუციონური დემოკრატიის ვალია ხალხის შემოქმედებითი ძალებს აქეთ მოუწოდოს. ხსნა მთლიანობაშია, ცალცალკე სიარული დაგვაქცევს, ხოლო ერთად სვლა კი აგვაშენებს.

პრესა

„იზვესტია“ კვლავ უბრუნდება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხს. ის სწერს:

> „იმის იმედი, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება ოსმალეთის მადას შეზღუდავს, ცოტა არ იყოს გულუბრყვილობა იქნებოდა“-ო.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გვიხსნის ოსმალეთის მადისაგან. ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოს მადა იმაში მგომარეობს, რომ, თუ შესაძლოა, მეორე სახელმწიფო გადაყლაპოს და საკუთარი საზღვრები გააფართოვოს. ამ მხრით გამონაკლისს არც ოსმალეთი შეადგენს. მაგრამ ოსმალეთის იმპერიალისტურ მადას გარდა, არსებობს კიდევ ობიექტიური პირობები, რომელნიც გვიკარნახებენ თავის დასაცავათ დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნას. ეს პირობები იმაში მდგომარეობს, რომ თუ ჩვენ რუსეთის ნაწილს შევადგენთ, ნება არ გვაქვს პეტროგრადის მთავრობის მიერ შეკრული ზავის პირობები არ მივიღოთ. პეტროგრადის მთავრობამ კი ბათუმი, ყარსი და არდაგანი ოსმალეთს მიართვა. თუ „იზვესტია“ ფიქრობს, რომ ბათუმყარს-არდაგანის მიცემა შეგვიძლია ოსმალეთისთვის, ეს სულ სხვა საქმეა, მაგრამ თუ ამ კუთხეების შერჩენა საჭიროა, როგორ შეგვიძლია ჩვენ ერთის მხრით ბალშევიკების მთავრობას დავემორჩილოთ და ამ მთავრობის მიერ შეკრული ზავი კი არ მივიღოთ. ოსმალეთი და მის ზურგს უკან მდგომი გერმანია ჩვენ ისე მოგვექცევიან, როგორც აჯანყებულებს. გარდა ამისა კავკასიის დამოუკიდებლობას უფრო ადვილათ შეურიგდებიან ჩვენი მეზობელი მუსულმანები და რუსეთის მთლიანობისთვის ისინი არ იბრძოლებენ.

ჩვენთვის მაინც საინტერესოა ვიცოდეთ, რას გვირჩევს „იზვესტია“. კრიტიკა მისგან მოვისმინეთ, მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ, ამას გაზეთი არ გვეუბნება. იქნებ მას ამაზე არც კი უფიქრია!

* *

ბალშევიკების მიერ შეკრულ „ორიგინალურ ზავის“ შესახებ სომხურ პრესაში შემდეგი აზრია გამოთქმული:

> „ასე განახორციელეს,—ამბობს დაშნაკც. ორგანო „ჰორიზონი“—ბალშევიკებმა თავიანთი დიდის ამბით გამოცემული დეკრეტი სომხეთის თავისუფლების შესახებ...
>
> საბედნიეროთ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას თავის მტკიცე აზრი აქვს და ისე არ ფიქრობს, როგორც ბრესტლიტოვსკის გმირები ფიქრობენ.
>
> ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ სეიმის დ კომისარიატის სახით გადაჭრით უარჰყვეს ოსმალეთის და ბალშევიკების მიერ შეკრული ზავი და გამოაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის ბედის გადამწყვეტი არის მხოლოდ და მხოლოდ მასში მცხოვრები ხალხი, რომელმაც თავის დემოკრატიულ წრეების პირით გამოაცხადა, რომ იგი შეერთებულის ძალით წინააღმდეგობას გაუწევს და არც ერთ ადლ მიწას არ დაუთმობს არავის. და თუ ოსმალოს ხელმძღვანელებს ჭკუის მცირედი ნაწილი მაინც შერჩენიათ, ამიერ-კავკასიასთან საქმე უნდა მორიგებით გაათავონ თავიანთივე ინტერესების თვალსაზრისით.
>
> და ჩვენ გვჯერა, რომ, ამიერ-კავკასიის მრავალ ეროვან დემოკრატიას, რომელმაც საჯაროთ გამოაცხადა ამიერ-კავკასიის მთლიანობის და ოსმალეთის სომხეთის ავტონომიის მოთხოვნა, მოეპოვება იმდენი ძალა და სიმტკიცე, რომ ნებას არ მისცემს არა-

ვითარ ძალადობის გამარჯვებას პეტროგრადიდან იქნება ეს თუ კონსტანტინოპოლიდან.

* * *

თებერვლის 17-ის მერე ამბობს „მშაკი“,—როდესაც გამოაშკარავდა, რომ ბალშევიკების მთავრობას გაუყიდნია არა მარტო სასომხეთი, რომლის თავისუფლათ გამოცხადების დეკრეტიც კი გამოსცა მან, არამედ ბათუმი, არდაგანი და ყარსიც, მდგომარეობა საზოგადოდ გახდა კრიტიკული არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ქართველების და ამიერ-კავკასიის სხვა ერებისთვისაც.

* * *

გაზეთი „ფაიქარი“ სწერს:

„იმ ბოროტმოქმედმა პირებმა, რომლებიც შაუმიანის პირით თავისუფლებას ანიჭებდენ ოსმალეთის სომხებს, დღეს გაკადნიერდენ და რუსეთთან ერთად გაჰყიდეს ამიერ-კავკასიის ხალხის უწმინდესი უფლებანი. ჩვენ გვეტყვიან: ლენინ-ტროცკებს სხვა საშუალება არ ჰქონდათ და იძულებულნი იყვენ მოეწერათ ხელი ამისთანა ზავზე. თუ ასე ვინმე მართლაც ჰფიქრობს, უნდა ვსთქვათ, რომ ძლიერ სცდება ის. სავალალოც ის არის, რომ ლენინ-ტროცკის პოლიტიკამ და ტაქტიკამ ასე გაამწვავა ჩვენი საერთო მდგომარეობა.

რას ნიშნავდა მათი განკარგულება საერთო დემობილიზაციის შესახებ?

არავითარ ეჭვს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს, უნდა შევაგროვოთ ყოველგვარი საშვალებანი და სრულის ღონით დავიცვათ ის ტერიტორიული რაიონები, რომლის ავაზაკურათ დატაცებას ცდილობენ ჩვენს ხელიდან.

პოლიტიკურ განცალკევების და დამოუკიდებლობის განცხადებით კი არა, არამედ რუსეთთან მტკიცე შეკავშირებით და ჩვენის სარაზმო ძალების შეკრებით უნდა გავანთავისუფლოთ აწინდელი მდგომარეობა.

თუ სიკვდილია, უნდა მოვკვდეთ პატიოსნათ და რუსეთთან ერთად“.

ასე სწერია „ფაიქარში“ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, თუმცა ჩვენმა პარტიამ აღიარა დამოუკიდებლობა.

საინტერესოა „ფაიქარ“-ის რედაქციის აზრი!

ჩვენებური ბალშევიკები

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში კომისარების თუ აგენტების დაგზავნასთან ერთად, ისინი განაგრძობენ ძველებურათ წერასაც.

დახურეს თფილისში პროვოკაციული მოწოდებათა მოთავსებისთვის „კავკაზსკი რაბოჩი“—„ბრძოლა“ — „ზანგორი კრივი“, სამაგიეროთ მათ ამ გვარივე მოღვაწეობა გადააქვთ სხვა ქალაქებში: ბათუმში უკვე გამოდის ქართულად „მუშის სიმართლე“,—რუსულად—„ბურევესტნიკი“.

თფილისიდან ადგილობრივი ბალშევიკები მიმავალ რუს ჯარისკაცთა ეშელონებს გაჰყვენ თავიანთი პროვოკაციული მოწოდებებით.

ბათუმში კი, ამგვარივე მოწოდებებით ებებიან იმ მეზღვაურებს, რომლებიც რუსეთიდან დრო გამოშვებით მოსცურავენ ხოლმე სამხედრო თუ სამგზავრო გემებით.

ეჭვი არაა, ბათუმშიც ამ რუსულ-ქართულ გაზეთების გვერდით გაიჩენენ სომხურსაც. თავს მოიყრიან ბალშევიკების გარშემო აქაც „მემარცხენე ესერები“, „მემარცხენე დაშნაკელები“, სხვადასხვა ჯურის „ინტერნაციონალისტები“ და სხ.

„ბურევესტნიკში“ ასეთი კილოთი სწერენ: „უმუშევრათ დარჩენილი ქ. ჩხეიძე სეიმის მუშაობას ხელმძღვანელობს“, „რევოლიუციის ევნუხები სასახლის თეთრ დარბაზში სხედან თათრის ბეგებთან ერთად“, „ამიერ-კავკასიის სახანო მოეწყო“ და სხ.

იმავე ნომერში (№ 17) „ცნობილი“ მ. ორახელაშვილი თავისი ბოროტი ენით და პროვოკაციის სისხლში ამოვლებული კალმით მოუთხრობს იქაურებს „თფილისში მიტინგის დახვრეტის“ ამბავს.

„მუშის სიმართლეში“ მოუთხრობენ ყოველგვარ სიცრუეს. ისე შერჩეულია მასალები ქვეყნის ყოველ კუთხიდან თითქმის მიღებული, რომ რუსეთის „მუშათა და გლეხთა მთავრობა“ თითქოს მსოფლიოს სოციალისტურ რევოლიუციას მეთაურობდეს.

გაზეთს მოჰყავს ერთი პატარა შენიშვნა გერმანელ რეაქციონერთა გაზეთ „ლოკალ-ანცაიგერიდან“, სადაც თურმე ეწერა—უკრაინელებმა დაამარცხეს ბალშევიკები, კალედინი უკრაინელებს ეხმარება, მთელი შეგნებული რუსეთი ბალშევიკების წინააღმდეგ იბრძვის, კალედინის ზურგს უკან დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე იმალებაო“ დ სხვ.

გაზეთი ნიშნის მოგებით გვეკითხება: „ჩვენ სოციალ-პატრიოტებს, რომლებიც სამოქალაქო ომის ასაცილებლათ მოითხოვენ ჯარებს ნუ გაგზავნით დონ-უკრაინის წინააღმდეგო,—ვურჩევდით, კარგათ ჩაუკვირდენ გერმანული გაზეთის ასეთ შენიშვნებს. აქ საინტერესოა არა ფაქტების გადამახინჯება, არამედ ის, თუ ვინ ვის თანაუგრძნობს გერმანელი შავრაზმელები გინდენბურგ-ჩერნინების მეთაურობით. რუსეთის კონტრ-რევოლიუცია დაუკავშირდა გერმანელ იმპერიალისტებს. ვისთან არიან ობორონცები!“

იმდენი, რაც ეხლა „მუშათა და გლეხთა მთავრობისაგან“ მიიღეს გერმანიის იმპერიალისტებმა, ნიკოლოზის მთავრობისაგანაც კი არ მიუღიათ წინეთ. რაღა პირით სწერენ ეხლა ბალშევიკები რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების და გერმანელ იმპერიალისტების კავშირის შესახებ.

უფრო ხელსაყრელი გერმანელი იმპერიალისტებისთვის ბალშევიკების მოღვაწეობა არ არის? და თუ ბალშევიკები სხვას აბვევენ თავზე თავიანთ ცოდვებს, ეს იმის ნიშანია, რომ მათ კიდევ მაგარი შერჩათ შუბლის კანი, როგორც იტყვიან.

ყოველ შემთხვევაში, „ობორონცები“ არ არიან იმ ჯურის ჯარისკაცებთან, რომლებსაც ბალშევიკები კონტრ-რევოლიუციის ჩასაქრობათ გზავნიან და რომლებიც ასეთი მოძრაობის „ჩაქრობის“ შემდეგ ნადავლით ბრუნდებიან, არ არიან ისინი აგრეთვე არც იმ ჯურის ჯარისკაცებთან ან მეზღვაურებთან, რომლებიც უჭერენ რა მხარს სიტყვით „მუშათა და გლეხთა მთავრობას“, საქმით ხალხის სიმდიდრეს, დოვლათს ჰყიდიან ვიგინდარებზე ოხრის ფასად, ანადგურებენ მას.

ვისთან არიან ბალშევიკები?

თელავის ამბები

პირდაპირი მავთულით თელავიდან შემდეგს იტყობინებიან:

„გუშინ, დილის 9 საათზე, წითელ გვარდიელებმა ალყა შემოარტყეს ყაზარმებს და დაიჭირეს მაღლობები. 11 საათზე ყაზარმებს სროლა დაუწყეს. მერვე ქართული პოლკის ჯარისკაცები შეიარაღებული ჯგუფ-ჯგუფათ აქეთ-იქით გაიქცენ. წითელ გვარდიელები მათ იჭერდენ და იარაღს ჰყრიდენ, დაჭერილებს დარაჯებს უყენებდენ და ისე გზავნიდენ. ყაზარმა ცოტა ხანს კიდევ არ ნებდებოდა. წითელ გვარდიელებმა დაიჭირეს ერთი მაღალი ადგილი და იქიდან ტყვიისმფრქვეველი მიუმიზნეს ყაზარმას. ჯავშნიან მატარებლის უფროსმა ზარბაზნები დაუყენა სადგურიდან. გაუგზავნეს პარლამენტიორი და ულტიმატუმი დაუყენეს: ერთ საათში იარაღი დაეყარათ, რაც ხელათ შეასრულეს.

ამ გვარათ ყაზარმები წითელგვარდიელების ხელში გადავიდა. როგორც აფიცრებს, ისე ჯარისკაცებს, ყველას იარაღი აჰყარეს. სამწუხაროთ, 500—600 ჯარისკაციდან ყაზარმაში და მის გარეთ მხოლოდ 200 აღმოჩნდა, დანარჩენები წითელ გვარდიელების მოსვლის შიშით მთელ მაზრაში გაქცეულან, თან წაუღიათ ნაძარცვი საქონელი და იარაღი, ამიტომ მოსალოდნელია, თუ გაბედეს, ექსცესები მოახდინონ მაზრაში. მეთაურები ყველა დაიჭირეს. დანარჩენები გაუშვეს. ჯარის უფროსი და აფიცრები ჯავშნიან მატარებლით თფილისში მოჰყავთ.

საზოგადოთ, ყველაფერი კარგათ გათავდა. წითელ გვარდიელების მხრით მოკლულია ერთი, ერთი დაჭრილი და ერთიც გაკაწრული; ჯარისკაცების მხრით მოკლულია სამი ჯარისკაცი და ერთი აფიცერი. წითელ გვარდიელები მიდიან და იქ სტოვებენ რამდენიმე ათეულს, რომ ადგილობრივ შეადგინონ წითელი გვარდია. საზოგადოთ, წითელი გვარდია სამაგალითოთ მოიქცა და მცხოვრებლების დიდი მადლობა და აღფრთოვანება დაიმსახურა. რაც შეეხება ყორეკას და ნაბიას წითელ გვარდიელების წინააღმდეგ, არავითარი ზომები არ მიუღიათ, წინააღმდეგ, ამ დღეს ეხმარებოდენ ჯარისკაცებთან ბრძოლაში.

გერმანელების შემოტევა

რადიო-დეპეშა ბათუმიდან, მიღებული 22 თებ. საღ. 8 ს. 10 წ.

ყველას! სამხედრო მოქმედების უკანასკნელი ცნობები: ავსტრო-გერმანელებმა დაიკავეს ჟმერინკა, რადგანაც რეგულიარულ ჯარებმა უკან დაიხიეს. ჩვენი ჯარები რამოდანისაკენ მოიწევიან. იწყება მოძრაობა (გამოტოვებულია). ხარკოვი. გამოგზავნეთ მძლავრი რაზმები ბელოპოლამდე (გამოტოვებულია) მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთმა გერმანიასთან ზავი შეკრა, ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ყველა ჩვენი ძალები მტრებთან საბრძოლველათ. ჩვენი ძალები 8 დღეა განუწყვეტლივ აწარმოებენ ბრძოლას და სამი დღის ბრძოლის შემდეგ იხევენ ბერდიჩევიდან, ჟიტომირიდან და ბერეზნიდან კიევისაკენ; დაკარგეს რამდენიმე ასი ჯარისკაცი; იხევენ დარნის ბროვარისაკენ (გამოტოვებულია)... საერთო გაჭირვების დროს მიიღეთ ყოველგვარი ზომები სურსათის მოსაგვარებლათ (გამოტოვებულია). მტერს არაფერი არ უნდა ჩაუვარდეს ხელში (გამოტოვებულია) სოციალიზმის დასაცველათ.

სახალხო სეკრეტარიატის თავმჯდომარე სახალხო სეკრეტარი სკრიპნიკი.

ბათუმიდან 22 თებ. 3 ს. 45 წ. მიიღეს შემდეგი რადიო:

ყველას. ბერლინში, გერმანიის მთავარ მბრძანებლობას. ვენაში, ავსტრიის მთავარ მბრძანებლობას. ბრესტ-ლიტოვსკში, შტაბის უფროსს გენერ. გოფმანს. 3 მარტს (ახ. სტ.) საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ 4 მარტს გათენებისას მე გავეცი ბრძანება ყველა ფრონტებზე, რათა შეწყვეტილ იქნას სამხედრო მოქმედება ოთხთა კავშირის წინააღმდეგ. მიუხედავათ ამისა, იამბურგიდან, ორშიდან, გომელ-ბრიანსკის ხაზიდან და პუნქტებიდან ცნობები მომდის, რომ ავსტრიელი და გერმანელი ჯარები სამხედრო მოქმედებას ისევ განაგრძობენ. ამიტომ გთხოვთ შემატყობინოთ, მიიღო თუ არა გერმანიის მთავარ მბრძანებლობამ საჭირო ზომები, რათა ეცნობებია ყველა ჯარისათვის საომარ მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ყოველ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ საომარი მოქმედება არ არის განახლებული გერმანიის მთავარ ბრძანებლობის განკარგულებით, რადგან ამის შესახებ არავითარი არც წერილობითი, არც რადიო-ტელეგრაფით ცნობა არ მიმიღია.

უმაღლესი მთ.-სარდალი კრილენკო.

ახალი ამბები

ირაკლი წერეთელის ჩამოსვლა. 22 თებერვალს, თფილისში ჩამოვიდა რუსეთის რევოლიუციის ბელადი ამხ. ირაკლი წერეთელი. ჩამოსვლისთანავე იგი გაეშურა სეიმის სხდომაზე. მთელი სეიმი, ამიერ-კავკასიის კომისარიატი და დამსწრე საზოგადოება ფეხზე ადგომით და დაუსრულებელ ტაშისცემით შეხვდა ძვირფას სტუმარს. ირაკლი წერეთელთან ერთად ჩამოვიდა ჩრდილოეთ ფრონტის ყოფილი კომისარი ამხ. ვოიტინსკი, რომელიც ბალშევიკების გამოსვლის დროს დაჭერილ იქნა ბალშევიკების მიერ და პეტრე-პავლეს ციხეში იჯდა.

◆ **განსაკუთრებულ სასურსათო უწყების დადგენილება**, თფილისის განსაკუთრებულ სასურსათო უწყების გადაწყვეტილების თანახმათ მოქალაქეებს შეუძლიათ კერძო სარგებლობისათვის თან იქონიონ 5 ფუთამდე ფქვილი. იმ პირებს, რომლებსაც ორ ფუთამდე ფქვილი აქვთ, პურის ბარათები არ წაერთმევათ; ვისაც მეტი აქვს, პურის ბარათს დროებით ჩამოართმევენ. 5 ფუთზე მეტი ფქვილი ჩამორთმეულ იქნება. უწყებამ დაადგინა: ბუბლიკებზე, ნამცხვრებზე და სუხარზე დააწესოს ნიხრი. ყოველგვარ ტკბილი პურის გამოცხობა აღკრძალულია,

◆ **მიმოსვლის განახლება.** განჯიდან 22 თებერვალს იტყობინებიან, რომ რკინის გზაზე და ქალაქში სიწყნარეა. თფილისიდან წამოსული მატარებელი № 4 ბაქოსაკენ გაემგზავრა. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თუ ეშელონებმა არ შეუშალეს ხელი, მიმოსვლა შეიძლება განახლდეს ბაქო-თფილისის რკინის გზაზე. ყოველ შემთხვევისათვის საჭიროა გამოიგზავნოს ჯავშნიანი მატარებელი.

◆ **პირდაპირი მავთული.** ოზურგეთის ქალაქის თავი ღლონტი ატყობინებს ამიერ კავკასიის კომისარიატს, რომ აუცილებლათ საჭიროა ოზურგეთ-თფილისის შეერთება პირდაპირი მავთულით, რომელიც ნატანებში გაივლის.

◆ **სარწმუნოებრივ ნიადაგზე.** 22 თებერვალს კავკასიის გლეხთა ცენტრმა ბაშკიჩეტიდან შემდეგი ცნობა მიიღო: მუსულმანთა შორის მოძრაობა იწყება ქრისტიანების წინაღმდეგ. ითხოვენ შეიარაღებულ არტილერიის ძალას. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტა. დაბეჯითებით ითხოვენ დახმარებას.

◆ **ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ** დაადგინა მოაწყოს ავტომობილების მიმოსვლა სადგურ ნატანებიდან ოზურგეთამდე.

◆ **ზუგდიდის ქალაქის** თვითმართველობამ დაადგინა შევიდეს ქალაქთა კავშირი.

◆ **„ეკონომია“-ს წევრთა კრება.** ქ. ოზურგეთის მომხმარებელ საზოგადოების „ეკონომია“-ს გამგეობა აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას, დღის 2 საათზე თეატრის შენობაში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური ჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგი: გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, მოგების განაწილება, გამგეობის არჩევა, ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება და სხვ.

◆ **რევოლიუციის წლის თავი.** 27 თებერვალს, რევოლიუციის წლის თავზე, ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გაიმართება მიტინგები. ილაპარაკებენ ყველა რევოლიუციონურ-სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლები.

◆ **დაკარგული ბავშვი.** ჩვენს რედაქციაში შემოვიდა მოქ. ნიკოლოზ ონისიმეს-ძე ჩხატარაშვილი, რომელმაც გვთხოვა გამოვაცხადოთ შემდეგი: ამ ორი კვირის უკან ქ. ოზურგეთიდან გიორგი კონსტანტინეს ძე გოგიტიძეს ქ. თფილისში წამოჰყვა 14 წლის ბავშვი ბორის ვლადიმერის ძე დუმბაძე, რომელიც ამის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბავშვს ტანზე აცვია ჯარისკაცის ფარაჯა. შიგნით მოთეთრო შალის ტუჟურკა, მოყვითალო შარვალი, ფეხზე წაღები და თავზე ყვითელი ყაბალახი ახურავს. ბავშვი მაღალია, პირ-მსუქანი და სახე ცოტა ჰორფლიანი აქვს. ჩხარტიშვილი უმორჩილესად სთხოვს ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ან მიეცემა შემთხვევა სადმე ნახოს, შეატყობინონ შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, ირინე ონისიმეს ასულ დუმბაძეს.

◆ **შემოწირულება.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მიიღო შემოწირულების სახით პორუჩიკ რომან ოქროსცვარიძის მიერ მე-17 კავკასიის მსროლელ პოლკის მე-10 როტის აფიცერთა და ჯარისკაცთა შორის შეგროვილი 130 მ. 50 კ.

◆ **სტამბის ფონდი.** მივიღეთ პარტიულ სტამბის ფონდის გასაძლიერებლათ თაურიზის გარნიზონის ქართველ მხედართა კულტურულ-განმანათლებელ წრის ქონებიდან წრის თავმჯდომარე რაფიელ ჩხაიძისაგან 639 მან. 55 კ.

◆ **გვარდიელების სასარგებლოთ.** ორთაჭალის რაიონის წითელ გვარდიელთა შემაიარაღებელ კომისიამ არსენ ალიხანოვისაგან მიიღო შემოწირულება რაიონის გვარდიის სასარგებლოთ 50 მან., ხარაზი გახროსაგან—25 მან. კომისია მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

◆ **დალაქიშვილის** უკანასკნელი პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს 24-ს თებერვალს საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე (გუნიბის ქუჩა, № 44). დაკრძალვა მოხდება ხვალ, 25 თებერვალს დიდუბის სასაფლაოზე.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა არა ჩვეულებრივი კრება. წევრებს სთხოვენ უსათუოთ დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე დანიშნულია მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. რადგანაც მნიშვნელოვანი საქმეა გასარჩევი, ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

პროვინციის ქრონიკა

ქ. სამტრედია. სამტრედიამ შუამდგომლობა აღძრა ამიერკავკასიის ქალაქთა კავშირის წინაშე, სანამ სამტრედია-ხონი-წყალტუბო-ქუთაისის რკინის გზა გაკეთდებოდეს, მოეწყოს ამ გზაზე საბარგო და სამგზავრო ავტომობილების მიმოსვლა, შუამდგომლობას ქალაქთა კავშირი დიდი სიმპატიით შეხვდა და მისი მოწყობა შესაძლებლათ სცნო ამ მოკლე ხანში. ასეთივე მიმოსვლა მოეწყობა სამტრედია გომი-ტობანიერის გზებზე ვანამდე. უკანასკნელს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების მხარეთ ითვლება.

— ამ რამდენიმე დღეებში ქ. სამტრედია ქალაქთა კავშირისაგან მიიღებს ქალაქის აფთიაქის და 70 საწოლიან ლაზარეთის მოწყობილობას.

— როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველომ ნება დართო სამტრედიას თავისი კანალიზაცია შეურთოს რკინის გზისას.

მუშაობას ამ დღეებში შეუდგებიან. მოითხოვეს ერთი საბარგო ავტომობილი. შუამდგომლობა დასამტკიცებლად გაეგზავნა ამიერკავკასიის კომისარიატს, რომლის ხელშია ყველა ავტომობილები.

— ქალაქთა კავშირის შრომის განყოფილების ხელმძღვანელმა ინნა ჟორდანიასამ ყოველივე დახმარების აღმოჩენა დაპირდა თუ ქალაქი ხელს მოკიდებს სამრეწველო მებოსტნეობას.

— მთელ ქალაქში დასრულდა სამეურნეო აღწერა; შედეგი შემაძრწუნებელია. ქალაქის მცხოვრებთ სიმინდი აპრილამდე თუ ეყო, ესეც დიდი ბედნიერება იქნება. ახლა კი ბაზარზე ფუთი სიმინდის ფასი 20 მანეთამდე ადის.

აბასთუმანი. 4 თებერვალს დაბა აბასთუმანში შესდგა ადგილობრივ სოციალდემოკრატიების (მენშევიკების) და თანამგრძნობთა კრება, რომელზედაც ერთხმად დაადგინეს პარტიულ ორგანიზაციის დაარსება. კრებამ ამოირჩია საორგანიზაციო კომიტეტი 5 კაცისაგან შემდგარი. საორგანიზაციო კომიტეტმა 6 თებერვალს გამართა საზოგადო კრება, რომელმაც მიიღო რამდენიმე დადგენილება, აქვე მოხდა ახალ წევრთა მიღება. კომიტეტმა მიზნათ დაისახა აგრეთვე შეძლებისა დაგვარად გასწიოს ენერგიული მუშაობა ახლო მდებარე სოფლებში მუსულმანებს, სომხებს და ქართველებს შორის.

ჩხენკელის დეპეშა

ამ დღეებში ა. ჩხენკელმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა ქ. სოხუმში:

აფხაზების ეროვნულ საბჭოს და სხვებს!

გავიგე, რომ ოლქში, ძარცვა-გლეჯისა და ყაჩაღობის აგიტაცია დაიწყეს, რომ ოლქში დასახლებული ერები ერთი მეორეს შეატაკონ. საჭიროა მთელი ოლქის დემოკრატია და ყველა ერი შეერთდეს, რომ სათანადო ბრძოლა გაუწიოს ამ მოსალოდნელ უბედურებას. ეს უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ თუ ქვეყნად ანარქია გამეფდა და ეროვნული ბრძოლა გაჩაღდა შეუძლებელი იქნება მიწების, ერობის და ეროვნულ საკითხის შესახებ ამიერ-კავკასიის მიერ გამოცემული დეკრეტების ცხოვრებაში გატარება. ამიერ-კავკ. სეიმს მიზნათ აქვს ცხოვრებაში გაატაროს ყველა სოციალური რეფორმები და თუ ადგილობრივ არეულობა იქნა არც ერთ ამ რეფორმის განხორციელება არ შეიძლება. რა ინტერესის გულისთვის ეწევიან აგიტაციას შური და მტრობა ჩამოაგდონ ეროვნებათა შორის? ყველა ის, ვინც შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ახდენს არეულობას, ვინც ცდილობს ამ არეულობით თავის მიზანს მიაღწიოს, ის ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მტერია. ამ მტრებთან ბრძოლა ერთათ უნდა აწარმოვონ ყველა ეროვნებებმა მით უმეტეს ეხლა, როცა კავკასია ყველაფერს მოწყვეტილია და თვითონ უნდა გაუძღვეს თავის საქმეს, გადასჭრას საჭირო კითხვები, განსაკუთრებით აგრარული და ეროვნული. რევოლიუციის განმტკიცება შეიძლება მხოლოდ ყველა დემოკრატიულ ელემენტების გაერთიანებით. ძალადობით და თვითნებობით არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ამიტომ საჭიროა, როგორც სხვაგან, შესდგეს ოლქში საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტი ყველა რევოლიუციონურ, საზოგადოებრივ და ეროვნულ ორგანიზაციებისაგან, რომ ამ ორგანომ აწარმოოს ყველა საქმეები ანარქიის მოსასპობათ. მიწის დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ საჭიროა შესდგეს მიწის კომიტეტები.

ყველა ეროვნებათა გლეხობა ერთგვარათ დაინტერესებულია ამ რეფორმით, ამიტომ პარალელურ მიწების კომიტეტების არსებობა საქმეს ავნებს, ის ელემენტები, რომლებსაც სურთ თავიანთი უპირატესობის შენარჩუნება, ცდილობენ გათიშონ გლეხობა. ასეთ ელემენტებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. ამისთვის საჭიროა შესდგეს ყველა ეროვნებათა გლეხების წარმომადგენელთა ყრილობა, რომ გამოარკვიონ ასეთ უპასუხისმგებლო ელემენტების პოლიტიკა. გარდა ამისა ამ ყრილობამ უნდა მოაწესრიგოს მიწების შესახებ ურთიერთ დამოკიდებულება სანამ ეს საკითხი საბოლოოთ გადაწყდებოდეს სეიმისაგან. მოვუწოდებ სოხუმის ოლქის მცხოვრებთ შეერთდენ და ებრძოლონ რევოლიუციის მტრებს. წინადადებას გაძლევთ თქვენ ფართოთ გააცნოთ მცხოვრებთ ყველა ეს და დაუყოვნებლივ მოაწყოთ საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტი და შეუდგეთ გლეხთა ყრილობის მოწვევის საქმეს.

შინაგან საქმეთა სამინ. კომისარი
ჩხენკელი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

22 თებერვალი.

კრება იხსნება დღის 1 საათზე. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას აირჩიონ მდივანი, ს.-დემოკრატ მენშევიკთა სახელით **ნ. რამიშვილი** აცხადებს, რომ ფრაქცია აყენებს ამხ. ონიაშვილის კანდიდატურას მდივნის ადგილზე, „მუსავატი“ და მუსულმანთა სოც. ბლოკი ასახელებს კანტემიროვს.

კენჭის ყრით ონიაშვილმა მიიღო 13 ხმა წინააღმდეგ 21; კანტემიროვმა 18 ხმა წინააღმდეგ 14. დაშნაკცაკანები მდივნის არჩევის დროს დარბაზში არ სჩანდენ გარდა ერთისა.

ამ გვარათ მდივნათ აირჩიეს კანტემიროვი, თავმჯდომარე წინადადებას იძლევა აირჩიონ მდივნის ამხანაგები.

ნ. რამიშვილი ს.-დემოკრატ-მენშევიკთა ფრაქციის სახელით აცხადებს, ის ფრაქცია, რომელმაც წამოაყენა თავისი თავმჯდომარე, ფიქრობდა თავის მდივნის გაყვანას, და რადგან ეს ასე არ მოხდა და სეიმმა დაადგინა მდივნათ კანტემიროვი აირჩიეს, ფრაქცია მონაწილეობას არ მიიღებს მდივნის ამხანაგების არჩევანში.

თავმჯდომარე სთხოვს ფრაქციებს საჩქაროთ იქონიონ მსჯელობა მთავრობის შედგენის შესახებ, რომ დღეს თუ არა ხვალ გადაწყდეს ეს საკითხი.

შემდეგ წინადადებას აძლევს აირჩიონ მუშათა, ეროვნული და სასურსათო კომისიები.

კრებამ დაადგინა აირჩიონ მუშათა კომისიაში 12 კაცი, ეროვნულში 15 და სასურსათოში 21 კაცი.

შემდეგ ამისა მდივანი კითხულობს ამიერ კავკასიის ცენტრის მიერ გამოტანილ რეზოლიუციას ს.-რევოლიუციონერთა პარტიის სეიმის წევრთა შესახებ სეიმის დადგენილების გამო. ცენტრი პროტესტს აცხადებს ს.-რევოლიუციონერთა სეიმის დეპუტატების რიცხვის შემცირების გამო.

სამეურნეო გამწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარე განჯინსკი მოხსენებას აკეთებს კომისიის მოქმედების შესახებ. კომისიას დაუდგენია, რომ სეიმისთვის ყველაზე უფრო შესაფერი შენობაა სასახლე, მაგრამ სასახლეში დღეს მოთავსებულია სხვადასხვა რევოლიუციონური ორგანიზაციები. ამიტომ კომისიას დაუდგენია სთხოვოს კომისარიატს სამი დღის განმავლობაში გამონახოს ქალაქში შესაფერი შენობა, სადაც გადავლენ რევოლიუციონური ორგანიზაციები. შეუდგენია სეიმის კანცელიარიისთვის შემდეგი შტატი მოსამსახურეთა: ერთი კანცელიარიის უფროსი, ერთი მისი თანაშემწე, ორი განყოფილების უფროსი, 8 საქმის მწარმოებელი, ერთი მდივანი თავმჯდომარესთან. ერთი ექსპედიტორი, ორი მისი თანაშემწე, ერთი ბუხგალტერი, ერთი უფროსი რედაქტორი, ორი მისი თანაშემწე, ხუთი უფროსი და ხუთი უმცროსი გადამწერი, ერთი კვესტორი და ორი მისი თანაშემწე. სულ ამათ ჯამაგირებს უნდება 21,600 მანეთი, საჩუქრებიც 24,750. სულ მთელ ხარჯებს 285.000 მ.

შემდეგ კომისიას ლაპარაკი ჰქონდა დეპუტატების დიეტის შესახებ, ზოგს ის აზრი გამოუთქვამს, რომ დაენიშნოთ დეპუტატებს დღიურათ 25 მ. ზოგს 35 და 40 მ.

ნ. რამიშვილი ს.-დემოკრატ—მენშევიკთა ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ დაენიშნოთ დეპუტატებს დღიურათ 25 მან., რადგან ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენ ბიუჯეტს, რომელიც ძლიერ კრიტიკულ მდგომარეობაშია, სამაგიეროთ ზომები უნდა მივიღოთ უზრუნველვყოთ ჩამოსული დეპუტატები იაფ-ფასიან ბინით და სხვა.

რუსტამბეკოვი და ამასპიური მოითხოვენ დაენიშნოთ დეპუტატებს დღიურათ 35 მან.

შახატუნს წინადადება შეაქვს სეიმის წევრთ ნება არ ქონდეთ ჯამაგირიან ადგილზე იყვენ ამავე დროს.

კენჭს უყრიან დიეტის საკითხს და ღებულობენ დაენიშნოთ დეპუტატებს 35 მან. შახატუნის წინადადებასაც კრება ღებულობს.

სეიმის მდივანი კითხულობს მესამეს ვერსზე მდგომ ეშელონის ჯარისკაცის განცხადებას, რომლითაც თხოულობენ ერთ მილიონ მანეთს.

ფინანსთა სამინისტროს კომისარი კარჩიკიანი დაწვრილებით ეხება ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობას და აღნიშნავს თუ რა ათასგვარ დაბრკოლებებს გადაელობა ამიერ-კავკასიის კომისარიატი, რომ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება ოდნავ მაინც გაეუმჯობესებია. ის აღნიშნავს, რომ მეურნეობა კრიტიკულ მდგომარეობაშია, სურსათის საქმე ვერ არის მოწყობილი, რუსეთთან კავშირის გაწყვეტის გამო დადგა ფულის კრიზისიც და ამიერ-კავკასიის კომისარიატი იძულებული შეიქნა ადგილობრივი ბონები გამოეცა. ბონები იბეჭდება დღეში ერთი მილიონი მანეთი, მაგრამ ეს ვერ ასდის მოთხოვნას, მარტო თფილისს უნდება დღეში ორი მილიონი მანეთი. იმედს აცხადებს, რომ მომავალში ეს საქმე მოეწყობა დასხვა.

(დასასრული იქნება)

ბალშევიკების მიერ გაყიდული ჩვენი ქვეყანა უნდა დავიცვათ

რუსეთი დაქსაქსეს, დაანაწილეს, ხალხი ანარქიის მონათ აქციეს და შემდეგ ღონე მიხდილი, უძლური უსირცხვილოდ, შეუბრალებლად გაჰყიდეს.

ეს არ იკმარეს და ჩვენი კუთხეც ზედ მიაყოლეს, გვიღალატეს, გაგვცეს, ოსმალეთს, მის მტარვალობის პირში ჩაგვაგდეს გასათელავათ ჩვენი ქვეყნის და თავისუფლების.

ვინ არის ეს უდიდესი მთელ ჩვენს რევოლიუციის ისტორიაში მოღალატე, გამცემი, დამღუპავი ერის, რუსეთის ხალხის თავისუფლების?

ბალშევიკების მთავრობა, ავანტიურისტებ ლენინ-ტროცკი შეუგნებელ მასსას პირდებოდენ პირდაპირ „სოციალიზმში შეყვანას“. გულუბრყვილო რუსეთის ფართე მასსას მართალი ეგონა მათი დაპირებები და აჰყვენ ბალშევიკების მოღალატურ გზას და ნაცვლად „სოციალიზმისა“ გერმანიის იმპერატორ ვილგელმის ჯავშნიან მუშტ ქვეშ ამოყვეს თავი.

არც ჩვენ დაგვაყარეს ხეირი. ბათუმი, ყარსი, არდაგანი და მათი ოლქები ოსმალეთს მისცეს ბალშევიკებმა დაუკითხავათ ამიერ-კავკასიის დემოკრატიისა.

თავზარ დამცემი ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელ ჩვენს ქვეყანას და თითქოს შორს გლოვის ზარმაც ჩამოკრაო, ამ მოსალოდნელ სამწუხარო განსაცდელმა ყველა ჩააფიქრა, ყველას ჩასჩურჩულებს იგი ყურში: ჩვენი ქვეყანა, თავისუფლება განსაცდელშია, სასიკვდილო საფრთხე მოელისო.

აბა ვის არ უნდა ეგრძნო ის სულის ტკივილი, რომელიც ბალშევიკების მთავრობამ ხალხს მიაყენა! ვინ არ უნდა იგრძნოს ის რკინის სალტე, რომელსაც ირგვლივ გვარტყამს ბალშევიკების ჩამოგდებული ზავი ოსმალეთთან ჩვენს ხარჯზე? განა შეუძლია ჩვენს ხალხს, დემოკრატიას, შეურიგდეს ოსმალეთის მტარვალობის ქვეშ ყოფნას?

არა და ათასჯერ არა. ჩვენი ქვეყანა, მშრომელი ხალხი, რომელმაც დაამსხვრია ნიკოლოზ მეორეს ბორკილები ვერ შეურიგდება აწი ვერც ერთ მტარვალობის მონობას, ტანჯვას.

თავისუფლება, ჩვენი ქვეყანა განსაცდელშია, არა ერთხელ და ორხელ სმენია ჩვენს ხალხს ეს სიტყვები, როგორც სიტყვიერათ ისე გაზეთის საშვალებით ამ ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ დღეს უკვე დადგა ჩვენი ქვეყნის, თავისუფლების, ხალხის ფიზიკური ყოფნა არ ყოფნის არამც თუ დღეები, საათები. ჩვენ არ ვიცით თუ როდის დაგვეცემიან, როდის მოინდომებენ ჩვენს განადგურებას, თავისუფლების დალუპვას. და ჩვენ, მთელი ჩვენი დემოკრატია, მზათ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის, თავისუფლების დასაცველათ. ჩვენ არ შეგვიძლია ბალშევიკების მოღალატურ გზას გავყვეთ, რომ ჩვენი ქვეყანა დაიპყრონ, ააოხრონ, ჩვენი თავისუფლება ხიშტებზე წამოაგონ ოსმალეთის მტარვალობამ და ჩვენ გულ-ხელ დაკრეფილი ვუყუროთ ჩვენს უბედურებას. არა და ათასჯერ არა.

ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი თავისუფალი ქვეყანა მთელი ჩვენის ძალ-ღონით.

თავისუფლების, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის მთელ ქვეყანას უნდა ვამცნოთ, რომ თავისუფალ ქვეყნის შვილებს, მშრომელ დემოკრატიას, რომლებმაც სისხლით და ბრძოლით მოვიპოვეთ თავისუფლება აწი არ შეგვიძლია შეურიგდეთ მტარვალობას, ქვეყნის დამონებას, და მზათ ვართ დავიცვათ ბრძოლით თავისუფალი ქვეყანა.

ამხანაგებო! ვემზადოთ თავდაცვისათვის, არც ერთი ნაბიჯი უკან.

წინ! თავისუფლების და ჩვენი ქვეყნის დაცვისაკენ. ბალშევიკების მიერ გაყიდული ჩვენი ქვეყანა ჩვენ უნდა დავიცვათ!

აკ. პლებეიშვილი.

ნოე მგალობლიშვილი

11 თებერვალს ქობულეთში ნაძირალებმა ვერაგულათ მოკლეს ერთი ჩვენი პარტიული ამხანაგი წითელ გვარდიელი ნოე მგალობლიშვილი. ამხ. ნოე რკინის გზის რევოლიუციონურ კომიტეტისაგან სხვა ამხანაგებთან ერთად დანიშნული იყო მატარებელზე წესრიგის აღსადგენათ და სპეკულიანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ის მოკლენ მაგარი სასმელების დამტარებლება—„მესპირტეებმა“. ნოე ღარიბი გლეხის შვილი იყო, რომელიც უკუღმართი ცხოვრების პირობების გამო იძულებული გახდა გაცლოდა თავის სოფელს, მოშორებოდა საყვარელ დედ-მამას და თავი ქალაქში შეეფარებია. ამხ. ნოე პირველად ჩამოდის ქალ. ბათუმში და მუშაობას იწყებს რკინის გზის საქონლის სადგურზე. ის ერთ გულწრფელ და პატიოსან მუშათ ითვლებოდა, რის გამოთაც დიდი პატივისცემა და სიყვარული ქონდა დამსახურებული მის ამხანაგ-მეგობრებ შორის. რამდენიმე ხნის იქ მუშაობის შემდეგ სხვა მოწინავე პირებთან ერთად ამხ. ნოეც დათხოვნილ იქნა ადგილიდგან როგორც „პოლიტიკურად არა საიმედო“ პირი. დიდი ხნის სოფელში ყოფნის შემდეგ ისევ იძულებული გახდა სოფელს გაცლოდა და ქალაქში გამოქცეულიყო. მას დიდი სიხარულით ღებულობენ ადგილზე საქონლის სადგურზე მომუშავე ძველი მისი ამხანაგები, სადაც სიკვდილამდინ მუშაობდა. ამხ. ნოე ჯერ კიდევ 1905 წელში ითვლებოდა ბათუმის სოციალ-დემ. პარტიის წევრად. ის ერთი ჩუმი, გულწრფელი და ერდგული პარტიული მუშაკი იყო. როდესაც ბათუმში მუშებისაგან წითელგვარდიელთა რაზმი შედგა მან პირველად ჩაეწერა ამ რევოლიუციონურ რაზმში და თავისუფლების დასაცველათ გამოვიდა და აი თავისუფლებისათვინ საუკეთესო მებრძოლი, რევოლიუციონერი მოკლენ თავისი წმინდა მოქალაქობრივი და რევლიუციონური მოვალეობის შესრულების დროს. ჩვენ საუკეთესო ამხანაგს სიცოცხლე მოუსპენ საზოგადოების ბნელმა ძალებმა, ნაძირალებმა, ავაზაკებმა, სინდის და ნამუსს დაკარგულმა, ყოველგვარ საზოგადოებრივ გრძნობა მოკლებულმა გამხეცებულმა ადამიანებმა, რომლებიც თავისი კერძო ინტერესების გამო არაფელს არ ერიდებიან, ქმნიან ცხოვრების არევ-დარევას, ანარქიას, და მით რევოლიუციას და თავისუფლებას საშინელ საფრთხეს უმზადებენ. ამხ. ნოეს სიკვდილი ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება. ეს გვეუბნება იმას, რომ რევოლიუციის პირველ დღეებში სოროში მიმალულნი საზოგადოების ბნელი ძალები, ავაზაკები, რეაქციონერები და ყოველგვარი ნაძირალები მზის სინათლეზე გამოდიან, ირაზმებიან და რევოლიუციას აშკარად თავზე ესხმიან. დღეს როდესაც რევოლიუცია და თავისუფლება განსაცდელშია, როდესაც ყოფნა არ ყოფნის საკითხი სდგას დემოკრატიის წინაშე, 13 თებერვალს ამხ. ნოეს უკანასკნელად გამოეთხოვა ბათუმის მუშები და მისი ამხანაგები. მის გამოსვენებას აუარებელი ხალხი დაესწრო. წითელ გვარდიელები შეიარაღებულნი, წითელი დროშებით ხელში წინ მოუძღოდენ ამხ. ნოეს ცხედარს. განსაკუთრებული მატარებელი მშვენივრათ მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით და წითელი დროშებით. წარმოითქვა სიტყვები. სიტყვა სთქვა რკინის გზის კომიტეტის სახელით ყ. ნინიძემ. ბათუმის სოც.-დემოკრატიული პარტიის და ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციების სახელით ამხ. გ. ანჯაფარიძემ. წითელ გვარდიელთა სახელით ემ. წულაძემ. ყველა სადგურზე აუარებელი ხალხი გვხდებოდა წითელი დროშებით ხელში. ყველანი ფიცს სდებდენ, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდი იბრძოლებენ რევოლიუციის და თავისუფლების დასაცველად. ქობულეთში, სადაც ვერაგულათ მოკლეს ჩვენი ამხანაგი მის უმანკოდ დანთხეულ სისხლის წინაშე ბათუმის წითელმა გვარდიელებმა ფიცი დასდვენ, რომ რევოლიუციის მტრებს, ავაზაკებს, ნაძირალებს, ამხ. ნოეს მკვლელებს ძვირად დაუჯდენენ მის სიკვდილს. საჯევახოდან ჩოხატაურამდე გზაში ხალხი თანდათან გვემატებოდა. ცხედარს თან ახლდა ბათუმიდგან ვ. ცენტერაძე. 15 თებერვალს სამუდამოთ მიწას მიაბარეს ჩვენი ძვირფასი ამხანაგი. დაასაფლავენ თავის სოფელში ერკეთში. დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო.

ვ. ბე—ლი.

საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკა

(რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებულის) ფრაქციის დეკლარაცია, წაკითხული საბჭოთა მესამე ყრილობაზე).

რა მიზნებსაც არ უნდა ისახავდეს რევოლიუციაში მუშათა კლასი და მთელი მშრომელი მასსა—სოციალისტურ გარდაქმნას, თუ გარდაქმნას მხოლოდ დემოკრატიულს, ორივე შემთხვევაში ერთად ერთი პოლიტიკური ფორმა, როდესაც მას შეუძლია ამ მიზნების განხორციელება, არის დემოკრატიული რესპუბლიკა. მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკის გზით შეუძლია მუშათა კლასს განახორციელოს თავისი სოციალური განთავისუფლება. სოციალ-დემოკრატია იმით განსხვავდება ანარქისტებისა და სინდიკალისტებისაგან, რომ იგი ყოველთვის სცნობდა, რომ ბურჟუაზიულ ხანაში შექმნილი დემოკრატიული დაწესებულებები არ მოისპობა სოციალიზმით, არამედ გარდიქმნება დემოკრატიის და თავისუფლების პრინციპების სწორათ განხორციელებით; მათში ალაგი არ ექნება იმ შეუფერებლობას და დამახინჯებას, რაც კაპიტალისტურ კლასებს შეაქვთ თავიანთი ინტერესების მიხედვით დემოკრატიულ დაწესებულებებში. მხოლოდ დემოკრატიზმის პრინციპების სწორად განხორციელებით, ე. ი. მცხოვრებთა უმრავლესობის გაბატონებით, შეუძლია მშრომელ გლეხობას სავსებით და მტკიცეთ განახორციელოს თავისი აგრარული რევოლიუცია.

დასავლეთ ევროპის ყველა ს.-დ. პარტიების პროგრამები, აგრეთვე რ. ს.-დ. მ. პ. და ს.-რევოლიუციონერების პროგრამა, რომლებსაც ფორმალურათ სცნობენ დღეს გაბატონებული პარტიები, აშკარათ აღიარებენ იმ რესპუბლიკის დემოკრატიულ საფუძველს, რომელმაც უნდა განახორციელოს მუშათა კლასის სოციალისტური განთავისუფლება; ისინი პირდაპირ აღიარებენ სახელმწიფო დაწესებულებათა და მთავრობების შექმნის საარჩევნო წესს საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო უფლების ნიადაგზე.

აღიარებს რა რუსეთს „საბჭოთა რესპუბლიკათ“, ყრილობა ამით უხვევს დემოკრატიულ პრინციპებს, რაც დღემდის შეგნებულ მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელ იდეიათ ითვლებოდა. თეორიაში „საბჭოთა რესპუბლიკა“ არის და არც შეიძლება არ იყოს საზოგადოებრივი ძალა-უფლების ათას დაწესებულებათა შორის დაქუცმაცების ანარქისტული მდგომარეობა; ეს დაწესებულებები არ არის არჩეული საერთო წესით, საერთო საარჩევნო სისტემის მიხედვით; ეს საარჩევნო წესი არ არის საყოველთაო, —მუშათა კლასისთვისაც კი,—არ არის პირდაპირი, თანასწორი და ფარული პროპორციონალურ წარმომადგენლობით. პრაქტიკაში ეს ანარქისტული მდგომარეობა და შედარებითი მოუწყობლობა და სიტლანქე საბჭოთა ორგანიზაციებისა იმდენათ, რამდენათაც მათ მოუხდებათ არა მარტო მასსის მოძრაობის ხელმძღვანელობა, არამედ სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ხელში აღებაც,—შექმნის საუკეთესო ნიადაგს მართვა-გამგეობის ორგანოების,—ცენტრში—მთავრობის და ადგილობრივათ სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტების და სხვ.,—უკონტროლოთ მოქმედებისათვის, უპასუხისმგებლობისათვის და დესპოტიზმისთვის. ამის ანტი-დემოკრატიულ ხასიათის ყველაზე უფრო აშკარა მაჩვენებელი ის ფაქტია, რომ უმაღლეს ორგანოთ გამოცხადებულ საბჭოთა ყრილობას არსებითად არა აქვს საბიუჯეტო უფლებაც კი, რომელიც სტოლიპინის სათათბიროსაც კი ჰქონდა და არ იცის რამდენს და რა საჭიროებისთვის ხარჯავს სახალხო კომისარების საბჭო ხალხის ჯიბიდან და რომელ წყაროებიდან ღებულობს იგი ამ კოლოსალურ თანხას.

რაც შეეხება რუსეთის რესპულიკის ფედერატიულ ხასიათს, სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც დღემდის პრინციპიალურათ უარჰყოფდა ფედერალიზმს, როგორც სახელმწიფოებრივ პრინციპს, რომელიც ხელს უწყობს არა მუშათა კლასის შეკავშირება-შედუღებას ერთ პოლიტიკურ მთელში, არამედ, წინააღმდეგ, მის დაქუცმაცებას,—აღიარებს, რომ **დღევანდელ ისტორიულ მომენტში, როდესაც რუსეთი ფაქტიურათ უკვე დაქუცმაცებულია, ფედერატიული კავშირის გზმა არის ნაბიჯი რუსეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ მთლიანობის აღდგენისაკენ გადადგმული.** მაგრამ ეს კავშირი შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ სწორათ განხორციელებულ ეროვნულ თვითგამორკვევის თავისუფლების პრინციპის საფუძველზე, რომელიც ეროვნებას უფლებას აძლევს მისი უმრავლესობის სახით თვითონ გადასწყვიტოს საკუთარ პოლიტიკურ წესწყობილების ფორმა. სხვადასხვაგვარ სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ დამოკიდებულებათა გამო, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთის სხვადასხვა ოლქებში, ფედერატიულათ შეერთებულ ხალხთა შორის საერთო კავშირს განამტკიცებს მხოლოდ მართველობის რესპუბლიკანური ფორმა და სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიული პრინციპები; სხვაგვარი ცდა ფედერაციის შესაქმნელათ, როდესაც რომელიმე ხალხს თავის სახელმწიფოებრივ წყობილებაში თავს მოახვევენ ისეთ დაწესებულებებს, რომელსაც ხალხის უმრავლესობა არ სცნობს, აუცილებლათ დამარცხებული იქნება და შედეგათ გამოიღებს ან მომხდარ დანაწილების საუკუნოთ დაკანონებას და ან ახალ ფორმაში ჩამოსხმულ ერთ ოლქების მიერ მეორეთა დაჩაგვრა-დამონებას.

გამოდის რა ყველა ზემოთ ნათქვამიდან, სრ. რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპ. საბჭოთა მე-3 ყრილობის რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებულის) ფრაქცია წინააღმდეგ მისცემს ხმას საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის დეკრეტს.

ჯავშნიანი მატარებელი
№ 4

ჯავშნიანი მატარებელი № 4 თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაშია. მისი კამანდა შესდგება 70 კაცისაგან. ვგონებ ზედმეტი არ იქნება მკითხველს გავაცნოთ მატარებლის მოქმედება.

მოგეხსენებათ თუ რა შიში გამოიწვიეს თფილისის მცხოვრებთა შორის თებერვლის პირველ რიცხვებში სადგ. მესამასე ვერსზე მდგომმა ეშელონებმა, რომელთა შორის პროვოკაციას ეწეოდენ ცნობილი ბალშევიკები კუზნეცოვი, შაუმიანი და პეტრენკო და მოუწოდებდენ მათ თფილისზე თავდასხმას. მაგრამ ენერგიულმა ზომებმა, რომლებიც მიღებულ იქმნა კომისარიატისა და თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ბალშევიკების განზრახვები ჩაფუშა და ეშელონები დასთანხმდენ ბაქოს გზით გამგზავრებას. მათ მცველათ ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი უნდა გაყოლოდა. ეშელონები ჯავშნოსანს პირველათ უნდობლათ უყურებდნენ და მოგვთხოვეს, რომ ჩვენთან ერთად მათი კამანდაც ჩამჯდარიყო. ჩვენ ეს არ ვქენით და ეშელონებიც იძულებული იყვენ დაგვთანხმებოდნენ. და აი სათანადო დელეგაციებთან ერთათ 4 თებერვალს გავემგზავრეთ ეშელონებთან ერთათ. პირველი ღამე გავათიეთ სადგურ ტაუზსა და და დოლლიარს შუა. ვინაიდან ამ გზაზე წყვილი ლიანდაგია, ჩვენ საშვალება გვქონდა ღამე მუდმივ გვევლო ეშელონების გვერდით და თვალყური გვედევნებია მათთვის. ჩვენმა ასეთმა მოქცევამ ეშელონებში ჩვენდამი მეგობრული განწყობილება შექმნა და უკვე კარგის თვალით დაგვიწყს ცქერა.

გავცილდით თუ არა სად. შამხორს ავაზაკებმა სროლა აუტეხეს ცისტერნებს. ჯავშნიანი დაბრუნდა და ცისტერნები ეშელონებს შეუერთა. ელისავეტპოლს რომ მივუახლოვდით ბრბო თავს დაესხა უკანა ორ ეშელონს (დანარჩენი წინ იყო წასული), რამაც გამოიწვია მსხვერპლი ეშელონების მხრივ—სამი მოკლული და 15 დაჭრილი. ეშელონები მზათ იყო ქედი მოეხარა ბრბოს წინაშე, მაგრამ ამ დროს მიუსწრო ჯავშნიანმა და ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით ბრბო გაფანტა და მას დიდი ზარალი მიაყენა. ამ დროს ცნობა მოვიდა, რომ წინა ეშელონებსაც აუტეხეს სროლაო, ჯავშნიანი გაემართა წინ და სროლით გზა გაუკაფა ყველა ეშელონებს. დალამებისას გავედით ელისავეტპოლიდან. გზაში ბრბოს მანჭველებით სავსე ყუთები დაეღვა, რომ მატარებელი დამტვრეულიყო, მაგრამ ორთქლმავალმა ყუთები გასრისა და გადალახა, ამრიგათ ხიფათს ავცილდით. სადგურ მინგეჩაურის და გერანს შუა ახალი ხიფათი შეგვემთხვა. ცეცხლი გაუჩნდა ორთქლმავალს, რამაც ცეცხლის ალში გახვია ჯავშნიანი მატარებელი, რაც აფეთქებას უქადდა მთელს მატარებელს. მემანქანე ალ. გოგავა არ დაიბნა და ხელათ შეაჩერა ორთქმავალი. მისმა თანაშემწემ სილ. ბუაძემ საჩქაროთ გადახტა და გადახსნა ორთქმავალი და საშვალება მოგვცა, რომ ორთქმავალი დაგვეშორებია ვაგონებისათვის და აფეთქება თავიდან აგვეცილებია. ჯავშნოშანის კამანდა საჩქაროთ თავის ადგილას გაჩნდა და სილით ჩააქრო ცეცხლი. ამ დროს ეშელონები უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასული. ჩვენ მათ დავშორდით სადგ. ბარგუშეთში. დაშორებისას დიდი მადლობით გამოგვისტუმრეს და გვეუბნებოდნენ: ეხლა კი მივხვდით თუ როგორ გვატყუილებდენ ბალშევიკები, ჩვენ თქვენს პატივისცემას თავის დღეში არ დავივიწყებთო და სხვა. გზებში ბევრგან დასვენებისას მიტინგები მოხდა, სადაც მათ აღნიშნეს ჩვენი მათდამი პატივისცემა. ღამით ბარგუშეთიდან უკან გამოვბრუნდით. მოვაწიეთ ევლახში და გვინდოდა ორთქმავლისათვის წყალი აგვეღო, მარა წყალი არსად იყო, რადგანაც მოსამსახურეები არ იყო—შიშის გამო ღამით გარეთ ვერ გამოდიან, იძულებული გავხდით სადგურზე წყლიანი ქვაბები გვეძებნა და ვედრობით დაგვემსო ორთქმავალი. ასეთივე ამბავი მოგვიხდა სადგურ დალ-მამეტლშიაც იმ განსხვავებით, რომ აქ წყალისათვის მდინარეს მივმართეთ. მშვიდობიანათ მოველით სადგურ დავლიარამდის. დავლიარსა და ძეგამს შუა შეიარაღებული ბრბო დაგვიხვდა დამარაგებული. მათ უკვე გაეძარცვათ რუსეთიდან მომავალი ჯარისკაცები და თფილისიდან მომავალი საფოსტო მატარებელი. ამის შემდეგ ჩვენ გვიპირებდნენ გამასპინძლებას. რკინის გზის აყრა ვერ მოეხერხებიათ. გზაზე გადაედვათ დიდი რელსის ნაჭერი, რითაც უნდოდათ მატარებლის დამტვრევა. ეს დროიანათ შევნიშნეთ, გავაფრთხილეთ მემანქანე, რომ ნელის ნაბიჯით წასულიყო. აქ მატარებლიდან გადახტა ამხ. ალფესი გოგუაძე და რელსი გადააგდო. ბრბომ იფიქრა დაგვნებდებოო და თოფის მოღერებით თანდათან გვიახლოვდებოდენ. ბრბო ოთხას ხუთასამდე კაცისგან შესდგებოდა. ჩვენ აუტეხეთ სროლა ტყვიის მფრქვეველთა და ზარბაზნებისაგან. ზარბაზნის ტყვიამ ერთიანათ წალეკა მათი „ბუდკა“, სადაც როგორც სჩანს მათი „შტაბი“ იყო მოთავსებული. ბრბოსაგან მხოლოდ 5 ან 6 კაცი თუ გადარჩა ცოცხალი, დანარჩენები სულ დაიხოცა. სადგურ ძეგამის ახლო-მახლო გორებზე კიდევ იყვნენ დამარაგებულნი, მათ შორის ბევრი ცხენოსნები. მათ იცვნეს ჯავშნიანი მატარებელი და მთებში მიიმალენ, რის შემდეგ მშვიდობიანათ ჩამოვედით თფილისს. ჯავშნიანი მატარებლიდან არავინ დაზიანებულა. ჩამოსვლისას მივიღეთ მადლობის დეპეშა ძეგამის სადგურიდან, მუსულმანთა კომისარი მადლობას გვიცხადებდა ყაჩაღთა ბრბოს დახოცვისადვის. ამის შემდეგ ქუთაისში მოუხვდა წასვლა, რომლის შესახებ ვრცლათ იყო აწერილი ჩვენს გაზეთში.

რვა თებერვლიდან მესამასე ვერსზე კვლავ მოიყარა თავი 13-მა ეშელონმა რიცხვით 14—15 ათასმა კაცმა. ბალშევიკებმა ფიცხლავ გააჩაღა მუშაობა ეშელონებში და მოუწოდებდენ თფილისზე თავდასხმას, კომისარიატის ჩამოსაგდებათ. ეშელონებს რეზოლიუცია ბალშევიკური გამოქონდა, მაგრამ, როცა საქმე წამოსვლაზე მიდგებოდა მათი ე. ი. ბალშევიკების მომხრეები ძალას ხედვიდენ და ვერ ბედავდენ წამოსვლას. ჩვენი მატარებელი ნავთლუღში იდგა და აფრთხილებდა მათ არ წამოსულიყვნენ. იყო შემთხვევა, როცა ერთი პოლკი დაიძრა წამოსასვლელად, მაგრამ წინ მათ ჯავშნიანი მატარებელი შეეგება და წინადადება მისცა, რომ ან იარაღი დაეყარათ ან და უკან გაბრუნებულიყვენ. ეშელონი უკან გაბრუნდა. ბოლოს როგორც იქნა გადაწყდა მათი ბაქოს გზით გამგზავრება იმ პირობით, რომ ჩვენი მატარებელი მათ დაიცავდა ბრბოს თავდასხმისაგან. 16 თებერვალს დილით დავიძარით სადგურ მესამასე ვერსიდან. სადგურ ტაუზამდე მშვიდობით მიველით, სადაც კიდევ წამოგვეწია ერთი ეშელონი, რომელიც წინას შევუერთეთ. ჩვენს წინ მიდიოდა მუსულმანთა დელეგაცია, რომელიც ბრბოს ელისავეტპოლში გაეძარცვა. ამ ამბის შესახებს ტაუზში დეპეშა მივიღეთ ელისავეტპოლიდან ამავე დელეგაციისაგან, რომ ეშელონები უკან დაგვებრუნებია, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ კვლავ მივიღეთ დეპეშა მუსულმანთა კომიტეტის თავმჯდომარე ხას-მამედოვისაგან, რომელიც გვატყობინებდა: „წამოდით, არავითარი საფრთხე არ მოგელითო“. მათ მართლაც მიეღოთ ზომები ბრბოს შესაჩერებლათ: მოეყვანათ მოლა, რომელსაც დაეჯერებია ბრბო, რომ არ დაგვხვედროდა და ისიც იმის იმედით გვატყობინებდა წამოდითო. სადგ. ტაუზში კიდევ წამოგვეწია ფოსტის მატარებელი, რომელშიდაც ისხდნენ ინგლისის მისსია, სპარსეთისა და ამერიკის ელჩები. ამ მატარებელში აღმოჩნდა 1 აფიცერი, რომელიც თავის თავს ჩეჩენს უწოდებდა, და თანაც თითქოს მისიის დამცველების უფროსი იყო, რომელმაც მოგვთხოვა, რომ მატარებელი ყველა ეშელონების წინ გაგვეშვა; ჯავშნიანმა მატარებელმა წინადადება მისცა მათ, რათა ისინი არ წასულიყო, რადგან ხიფათი მოელოდა ბრბოსაგან. აფიცერი ცოტა გადაკრული იყო და თვითნებობას მიმართა, მან მოინდომა შეეშინებია რკინის გზის მოსამსახურეები და მატარებელი წინ გაეშვა. ჩვენ როცა შევამჩნიეთ მის თავხედობას დავაპატიმრეთ და იარაღი ავყარეთ. აღსანიშნავია ის, რომ მის დაპატიმრების დროს ვიღაცამ—პროვოკატორმა სამგზავრო მატარებლიდან გაისროლა. მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანათ ჩატარდა. მთელი ღამე ტაუზში დავრჩით. რადგანაც ღამე მგზავრობა საშიში იყო, დილით 6 საათზე ეშელონებითურთ გავსწიეთ ელისავეტპოლისაკენ.

რადგანაც ლიანდაგი ორია, ჩვენ საშვალება მოგვეცა საშიშ ადგილებში პარალელურათ წავსულიყავით და ამით ვიცავდით ყველა ეშელონებს, ე. ი. ხან წინ გავიჩქარებდით და ხან უკან ჩამოვრჩებოდით. ეშელონები გამართული იყო 10 ვერ. სიგრძეზე. ჩვენ რომ ალაბაშლში ვიყავით, წინა ეშელენი უკვე ელისავეტპოლზე იყო მისული, სადაც შეჩერდა სულ ყველა ეშელონები. ჩვენ არ ვიცოდით მიზეზი ეშელონების შეჩერებისა. და წინ გავექანეთ, სადაც აღმოჩნდა, რომ მიზეზი შეჩერებისა ყოფილიყო ეშელონებზე თავდასხმა. სჩანს მოლას ქადაგებას უშედეგოთ ჩაევლო. მივედით და შემდეგი სურათი ვნახეთ: ბრბოს ცეცხლი წაეკიდებია ელისავეტპოლის ხიდისათვის, რათა საშუალება არ მიეცათ ეშელონების გავლისა. ყოველი მხრიდან ჩასაფრებული იყო ბრბო და ისროდენ, ისროდენ სახლებიდან და სანგრებიდანაც, ყოველი მხრიდან.

ჯარისკაცები სულ ძირს ჩამოხტენ და ცეპათ გაიშალენ ორთავე მხრით, მათი ფრონტი 7 ვერსის სიგრძეზე გაემართა და წინ მიიწევდა. ჯავშნიანი გაემართა ხიდისკენ, რომ ცეცხლი ჩაექრო და გზა გაეწმინდა. მე განკარგულება მივეცი ხიდზე მატარებელი შეეჩერებია და ცეცხლი ჩაექრო. ჩვენ ხიდზე შევჩერდით და ცეცხლის ჩაქრობას შევუდექით. ამ დროს მთელმა ბრბომ ჩვენსკენ მომართა თავიანთი ძალები და სეტყვასავით მოგვაყარეს ტყვია. ჩვენ ავსტეხეთ სროლა ზარბაზნებისა და ტყვიის მფრქვეველებისაგან. ამ სროლის დროს მსუბუქათ დავიჭერი მე და ორი ამხანაგი. ბრბო სავსებით გავანადგურეთ. სროლა უკვე შეწყდა. გზა უკვე გაწმენდილი იყო. ჩვენ შევედით სადგურში და განკარგულება გავეცით, რომ ეშელონებისთვის ყველაფერი დროზე დაემზადებინათ და საჩქაროთ გაეშვათ.

მოსამსახურეები ძლიერ ყოჩაღათ მოიქცენ და ყველაფერი თავის დროზე დაგვიმზადეს. ეშელონები კვლავ განაგრძობდენ სროლას, ბრალიანი და უბრალო აღარ უნდოდათ დაენდოთ. მე მათ გამოუცხადე, რომ თუ ისინი მშვიდობიან მცხოვრებთ შეეხებიან და უწესოებას ჩაიდენენ ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც თქვენ გიცავს თქვენ წინააღმდეგ იმოქმედებს-თქო. მათ ერთბაშათ აღგვითქვეს თავიანთი თანხმობა და ერთხმათ გაიძახოდენ: „Даздравствуетъ броневикъ спаситель“-ო, ეშელონების მხრით მხოლოდ სამია მოკლული და რამდენიმე დაჭრილი, ჩვენ წინ გავემართეთ გზის გასაწმენდათ და ნელნელა გაუშვით ეშნლონები, და უკან დავბრუნდით საფოსტო მატარებლის დასახსნელათ, რომელსაც უკვე უპირებდენ თავდასხმას და თანაც ფეხით მიმავალ ცეპს უკნიდან უპირებდენ დასხმას. ჩვენ ისინი გავანადგურეთ, და ამ რიგათ საფოსტო მატარებელიც ეშელონებს შეუერთეთ და გავაცილეთ სამშვიდობომდე—სადგ. მინგეჩაურამდე, რის შემდეგაც უკან გამოვბრუნდით. გზაში ცნობა მოგვცეს, რომ ბრბო ემზადებოდა „ჯავშნოსანზე“ თავდასასხმელათ. მართლაც სადგ. დალმამეტზე მოსვლისას დავინახეთ შეიარაღებული ბრბო, რომელშიდაც ცხენოსნებიც იყვენ და მიექანებოდენ ელისავეტპოლისაკენ. ჩვენთვის მათ არაფერი დაუშავებიათ, ისინი თეთრ ცხვირსახოცებს გვიჩვენებდენ და არც ჩვენ გვიხლია მათთვის ხელი. ელისავეტპოლიდან დაწყებული სადგ. ძეგამამდე ერთბაშათ აკიდული იყო ელისავეტპოლისაკენ მიმავალი შეიარაღებული ბრბო, რომელთაც ჩვენთვის არაფერი დაუშავებიათ და არც ჩვენ გვიხლია მათთვის ხელი. 19 თებერვალს საღამოს მშვიდობით ჩამოველით თფილისში. აღსანიშნავია, რომ მშვიდობიანი მცხოვრები მუსულმანებისა ყველა სადგურებზე აღფრთოვანებით გვეგებებოდენ და დახმარებას აღგვითქვამდენ.

ჯავშნიანი მატარებლის უფროსი
ვალოდია გოგუაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზაზე მომუშავე ამხანაგების საყურადღებოთ

18 თებერვალს ქართულ კლუბის დარბაზში ბ. ღამბაშიძის თავმჯდომარეობით მოხთა კრება რკინის გზის ქართველ მუშებისა. კრების უმთავრეს საგანს შეადგენდა საკითხი, თუ როგორ მოეწყოს ხსენებულ მუშათა კავშირი. მცირე კამათის შემდეგ, კრება სცნობს საჭიროთ ასეთი კავშირის მოწყობას. შემდეგ სიტყვა ეძლევა იმ კომისიის წევრს, რომელსაც დავალებული ჰქონდა კავშირის წესდების შემუშავება.

ორატორი თავის სიტყვაში ეხება ბალშევიკების ულოღიკო მოქმედებას, აღნიშნავს მათ უტაქტიკობას და უხსნის დამსწრეთ, თუ რა ზიანი მიაყენა მთლიან რუსეთს ბალშევიკების უმზგავსო გამოსვლებმა. დასასრულ, ორატორი მოითხოვს მოხდეს რკინის გზის დაწესებულებათა ნაციონალიზაცია. გაიმართა კამათი. ბევრი ილაპარაკეს ამიერ-კავკასიის კომისარიატის შესახებ, უკიჟინებდენ მას უმოქმედობას და ბრალს სდებდენ, რომ მან არ იზრუნა კერძოთ ქართველებზე და არ მოითხოვა მათთვის დამოუკიდებლობაო. ნუ თუ არ იციან ამ ვაჟბატონებმა, რომ ასეთ დემაგოგიურ სიტყვებს შეგნებულ მუშებში გასავალი არა აქვს. რათ დაავიწყდა ბ. მომხსენებელს თავის სიტყვები ბალშევიკების შესახებ? რატომ არ უნდა გულახდილათ სთქვას, საით მოუწოდებს იგი რკინის გზის ქართველ მუშა-მოსამსახურეებს. ნუ თუ მან არ იცის, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ნაციონალიზაციის განხორციელება რკინის გზებზე. იგი კიდევ უფრო ირევ-დარევდა მოძრაობის საქმეს და საფრთხეში ჩააგდებდა რკინის გზას.

დასასრულ ჩვენ უადგილოთ და მავნებლათ მიგვაჩნია აგრეთვე მარტო ქართველ მუშა მოსამსახურეების კავშირის დაარსება. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები უკვე არიან შეკავშირებული, ეროვნების განურჩევლათ, მათ აქვთ თავისი ორგანიზაციები და რა საჭიროა კიდევ ახალი ეროვნული კავშირის შექმნა და ამ ორგანიზაციებისათვის დაპირისპირება.

გაღ. ნ. ჟიბლაძე.

წითელი გვარდია და ბალშევიკები

თფილისის საქონლის სადგურზე შესდგა წითელ გვარდიელთა სასწრაფო კრება. მოხსენება გააკეთა სამხედრო საბჭოს წევრმა ამხ. ილ. ჩხიკვაძემ. მან აღნიშნა თუ რამდენი და რა სისტემის იარაღი არის საჭირო გვარდიელებისათვის. შემდეგ შეეხო დღევანდელ საშიშარ მდგომარეობას და მოუწოდა წითელ გვარდიელებს ენერგიულ მუშაობისთვის.

მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა წითელ გვარდიელების კრებამ ბალშევიკების მიერ გამოცემული წითელ გვარდიელების მიმართ პროკლამაციის შინაარსი, რითაც მოუწოდებენ მათ ომი გამოუცხადონ ამიერ კავკასიის კომისარიატს, დაადგინა: რადგანაც პეტროგრად-მოსკოვის წითელი გვარდიელები არ არიან რევოლიუციონერები და მათი მოქმედება ხელს უწყობს კონტრრევოლიუციის გაძლიერებას, მათი მხეცური და ველური გამოსვლა ასამარებს რევოლიუციას, რასაც გვიმტკიცებს 5 იანვარი, როცა მათ დაღვარეს უდანაშაულო რევოლიუციონურ პროლეტარიატის სისხლი, წითელი გვარდია უსასტიკეს ზიზღს უცხადებს რუსეთის წითელ გვარდიას. აგრეთვე სასტიკ გულის წყრომას უცხადებს ანარქო-ბალშევიკურ პარტიას, რომელიც არავითარ საზიზღარ საშუალებას არ ერიდება თავისი კონტრრევოლიუციონურ ტაქტიკის განსახორციელებლათ, რაიც გამოიხატება დამფუძნებელ კრების გარეკაში. მასთან ზემოხსენებულ წითელ გვარდიელების კრება ცნობს, რომ ამიერ კავსასიის კომისარიატი დემოკრატიულ საფუძველზე აგებულია და დემოკრატიულ პრინციპებს ატარებს, ამიტომ სრულ ნდობას უცხადებს მას და თუ ვინმე გაბედავს მის შეხებას, მზათ ვიქნებით დავიცვათ იგი.

ს. ქრისტინეშვილი.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 16 თებერვალს შესდგა ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოში მოსამსახურე სოც.-დ. პარტიის წევრთა საერთო კრება. ამხ. ლ. ასათიანის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო საკითხები: 1) კოლექტივის მოხსენება; 2) სამმართველოს საერთო კომიტეტის არჩევა; 3) დამატებითი არჩევნები და სხ.

პირველ საკითხს კამათი არ გამოუწვევია, გარდა შეკითხვებისა. მეორე საკითხის შესახებ კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო, რადგანაც ერთი ამხანაგთაგანი კ. საერთო სამმართველოს კომიტეტის

ოპეკუნათ მოგვევლინა და ამტკიცებდა, რომ სამმართველოს კომიტეტი არ არის რეაქციონური, როგორც ამხანაგები ახასიათებენო. ამაზე მან შესაფერი პასუხი მიიღო. კრებამ ასეთი გამოსვლა არასურველათ ალიარა და გაფრთხილება მიეცა კ. კრებამ დაადგინა სამმართველოს კომიტეტი უნდა შესდგებოდეს რევოლიუციონურ ელემენტებისაგანო. ამისთვის ყოველ განყოფილებაში უნდა ეცადონ თავის კანდიდატები წამოაყენონ, უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება უპარტიო თანამგრძნობთა ამორჩევა. დროს უქონლობის გამო დანარჩენი კითხვების განხილვა გადაიდო. „ობერი“.

---

21 თებერვალს მეოთხე რაიონის კოლექტივმა იქონია მსჯელობა პარტიულ მუშაობაზე, ქალთა ორგანიზაციის შექმნაზე და მეოთხე რაიონის საუბნო სასურსათო კომიტეტის შესახებ. პირველი კითხვის შესახებ გადასწყვიტა მოაწყოს ყოველ კვირაობით საუბრები პარტიის წევრებთან. პირველი საუბარი დანიშნულია მომავალ კვირას, საღამოს 5 საათზე, რაიონის კლუბის შენობაში. ქალთა ორგანიზაციის მოსაწყობათ კოლექტივმა აირჩია კომისია და დაავალა მას მოიწვიოს ქალთა კრება პარტიულ ორგანიზაციის შესაქმნელათ. კომისიაში აირჩიეს ტ. ნიკოგოსოვისა, მელიქოვისა და მაისურაძე.

საუბნო სასურსათო კომიტეტების შესახებ კოლექტივმა გადასწყვიტა მისცეს წინადადება ჩვენი პარტიის წევრებს, რომლებიც შედიან საუბნო სასურსათო კომიტეტებში დაუყონებლივ მოიწვიონ თავიანთ უბნის მოქალაქეთა კრება, მისცენ მათ ანგარიში თავის მოქმედებაში და გადადგენ თანამდებობიდან.

დასასრულ კოლექტივმა გაზეთ „ბორბას“ საგამომცემლო კომისიაში წარმომადგენლათ აირჩია ამხ. ე. ლომთათიძე, სახალხო უნივერსიტეტში რაიონის წარმომადგენლათ ამხ. ზავალიშინი. მ. ზ.

---

20 თებერვალს მოხდა რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 12 წევრი. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: გაზეთი „ბორბა“; სეიმი და ჩვენი მომავალი მუშაობა; პროფესიონალური კავშირები; მუშათა პოლიტიკური კლუბების წესდება; ინსტრუქცია მცირე რაიონებისათვის და განცხადებები. გაზეთ „ბორბას“ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გიკმა. აღნიშნა გაზეთის ფინანსიური მხრით მეტათ კრიტიკული მდგომარეობა და ითხოვა, რომ თფილისის კომიტეტმა მიაქციოს ამ მოვლენას ყურადღება და თუ ფულით არ დაგვეხმარება რამდენიმე პირი მაინც გამოგზავნოს იმ კომისიაში, რომელიც ხელმძღვანელობს გაზეთის მატერიალურათ უზრუნველყოფის საქმეს. ამხ. გვარჯალაძე თავის პასუხში ამბობს, რომ „ბორბას“ არსებობისათვის საშუალების გამონახვა იმ თავითვე აწვა მხოლოდ თფილისის კომიტეტს: ის ყიდიდა პაებს და აგროვებდა ფულებს სხვადასხვა საშუალებებით. ჩვენ ახლაც მზათა ვართ დავეხმაროთ შეძლებისდაგვარათ გაზეთს, მაგრამ საოლქო კომიტეტმაც ხომ უნდა იზრუნოს ამ გაზეთის მდგომარეობაზე? თუ მთელი ხარჯები მარტო თფილისის კომიტეტს დააწვა, ბოლოს მაინც უსახსრობის გამო, აუცილებელი დარჩება გაზეთის დახურვა. კამათის შემდეგ დადგენილ იქნა: 1) მიეცეს გაზეთს ერთდროული დახმარება 1000 მანეთი. 2) ეთხოვოს რაიონებს კვლავ ბეჯითად განაგრძონ პაების ხელმომწერლების შეძენა. 3) ყველა ანგარიშებს შემოსულ ფულებისას უნდა ხელმძღვანელობდეს საგამომცემლო კომისია.

სეიმის მომავალი მუშაობის საკითხი გადაწყდა, გარჩეულ იქნას საოლქო და თფილისის კომიტეტების და აგრეთვე ყველა რაიონულ კოლექტივების შეერთებულ სხდომაზე, რომელიც მოწვეული იქნება საოლქო კომიტეტის მიერ.

პროფესიონალურ კავშირების შესახებ აღინიშნა, რომ თფილისის კომიტეტმა არა ერთხელ გამოიტანა ამ კითხვაზე თავისი დადგენილება, მაგრამ იგი დღემდე მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა. ამისათვის ევალება ყველა რაიონებს, გაატარონ ცხოვრებაში კომიტეტის 1917 წლის 12 დეკემბრის შემდეგი დადგენილება: მიეცეს წინადადება ყველა მოწინავე ამხანაგებს ჩაეწერონ პროფესიონალურ კავშირებში, გასწიონ შესაფერი მუშაობა კავშირების გასაძლიერებლათ და ამით ფართე მასაში შეიტანონ კლასიური თვითშეგნება.

მუშათა პოლიტიკურ კლუბების წესდების შესახებ კომიტეტმა დაადგინა: მუშათა პოლიტიკურ კლუბების წესდებას დაედვას საფუძვლათ იმ წესდების პროექტი, რომელიც გამომუშავებულია საგანგებო კომისიის მიერ.

მცირე რაიონებისათვის მიღებულ იქნა ინსტრუქცია მეექვსე მუხლის მეორე ნაწილის შესწორებით, რომელიც გამომუშავა მეორე რაიონმა და დაამტკიცა სპეციალურმა კომისიამ.

მესამე რაიონის წარმომადგენლები მოხსენებას აკეთებენ, რომ მთელი მესამე რაიონის უბნები დღეს შეპყრობილია შიშით, იქ თარეშობენ ნაძირალები, რომლებიც ხოცვენ და ძარცვავენ მშვიდობიან მცხოვრებთ.

მესამე რაიონულმა კოლექტივმა უკვე სთხოვა თავდაცვის კომიტეტს მიიღოს საჭირო ზომები, მაგრამ ჯერ ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. საჭიროა თფილისის კომიტეტმაც განუმეოროს იგივე თხოვნა აღმასრულებელ კომიტეტსო. გადაწყდა ეთხოვოს აღმასრულებელ კომიტეტს მიიღოს სწრაფი ზომები ხულიგანთა ასალაგმავათ.

ამხ. თალაკვაძე აღნიშნავს იმ ბოროტმოქმედებებს, რომელსაც დღეს ადგილი აქვს სასურსათო კომიტეტების გარშემო. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა მიაქციოს ამ მოვლენას სხვაზე მეტი ყურადღება, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს მაინც მას მოუხდება პასუხისგება ყველა სასურსათო კომიტეტების მიერ ჩადენილ ცოდვებზეო.

კამათის შემდეგ მართლაც ირკვევა, რომ ცნობები ასეთ ბოროტმოქმედების შესახებ ბევრს მოეპოვება, მაგრამ ეს ცნობები არ არის დამტკიცებული საჭირო საბუთებით. ამისათვის კომიტეტი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჩვენმა ამხანაგებმა, რამდენათაც ეს შესაძლებელია, ფხიზლათ უნდა ადევნონ თვალყური ყველა ასეთ ბოროტ-მოქმედებებს და ყოველ მარჯვე შემთხვევის დროს, საბუთებით ხელში, გამოვიდენ დამნაშავეთა წინააღმდეგ.

კომიტეტის მდივანი.

პროვინცია

თელავი. ატმოსფერა მოშხამულია. ნაძირალების თვითნებობა დღითი-დღე იზრდება. მშვიდობიანი მცხოვრებნი ყოველ წუთს ელიან დარბევა-აწიოკებას. შეგნებული დემოკრატია ირაზმება თავისუფლების მტრების წინააღმდეგ: კაცის მკვლელებმა და ავაზაკებმა თავი შეაფარეს ქართულ 8-ეე პოლკს და გააბატონეს თავიანთ დიქტატორობა. ბრბო არავითარ ორგანიზაციას არ ემორჩილება. მათ ჩაიგდეს ხელში იარაღის საწყობი და გახადეს სავაჭრო დუქნათ. ჰყიდიან აშკარათ, მოურიდებლათ. დათარეშობენ ქალაქში, უცვივდებიან სახლებში, ამტვრევენ დუქნებს, ძარცვავენ მგზავრებს და ხმის ამომღები არავინ არის. ციხეს დაეპატრონენ: ვისაც უნდათ უშვებენ, ვინც უნდათ ამწყვდევენ, გაჰყავთ ტუსაღები ჯარში. კომისარიატს ხშირათ ესხმიან თავს და ხეპრულ მოთხოვნილებას უყენებენ: დაშალეთ მილიცია, წითელი რაზმი, ჩვენ ვართ ყველაფერიო. არ სწამთ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, რადგან ესენი გვიშლიან არაფეზე ქეიფს, თოფების ტარებას და სროლასაო. რასაც შევებიან გარეთ, ამასვე სჩადიან პოლკში. მათ შიშ ქვეშ იმყოფებიან პოლკის და კომიტეტის აფიცრები და მათ ხეპრულ ძალას ემორჩილებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ პოლკში მოიპოვებიან შეგნებული პირნი, რომელნიც იტანჯებიან მათი საქციელით. განსაკუთრებით ითქმის თუშებზე, რომელნიც უიარაღოთ დადიან ზრდილობიანათ თელავში და ემორჩილებიან დისციპლინას. ამ ელემენტებს აღელვებს მათი ქცევა, მაგრამ სისხლის ღვრას ერიდებიან. ამ ნაძირალების ქცევამ საზღვარს გადააჭარბა. 14 თებერვალს შემოისიენ თელავს და დაატუსაღეს რამდენიმე წითელი რაზმელი.

დადიოდენ სახლებში და აწიოკებდენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. მუშათა საბჭომ გადასწყვიტა ენერგიული ზომების მიღება. ამ მიზნით მათ მოინდომეს პოლკში მიტინგის გამართვა, რომ აეხსნათ მათი მავნებელი საქციელი რევოლიუციისათვის. მუშათა საბჭოს დელეგატებს თან გაჰყვენ მაზრის და ქალაქის კომისრები. წინასწარ მოლაპარაკებით, შეგნებულ ჯარისკაცებთან საჭიროთ დაინახეს კრების ყაზარმაში გახსნა, მაგრამ მის წინააღმდეგ მიდიან უპასუხისმგებლო პირები და იძახიან: მოდით, თუ გინდათ აქ, გარეთ, ილაპარაკეთ, თუ არა და არც ძალიან გვექავება თქვენი ლაპარაკიო. ბოლოს იძულებულნი გახდენ მიტინგი გარეთ გაემართათ დღიურ წესრიგში, სხვათა შორის, საკითხი წამოაყენეს ჯარისკაცთა საბჭოს არჩევის შესახებ და იარაღით სიარული ქალაქში. პირველ კითხვაზე ლაპარაკობს ს. მა—ნი, რომელიც აცნობს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მნიშვნელობას და მოუწოდებს აირჩიონ საბჭოში საიმედო პირები. ასახელებენ ისეთებს, რომლებსაც ციხე აქვთ გადაწყვეტილი და აქ შეუფარებიათ თავი, რომ ვერ დაიჭირონ. ტრიბუნაზე ადის უფლება აყრილი ტუსაღი ჯარისკაცის მაზარაში გამოწყობილი და მედიდურათ გაჰკივის: „ამხანაგებო! ჩვენ იქ რა გვინდა, იქ ჩვენი ამხანაგები არ არიან“. ამის შემდეგ არჩევნები იშლება და აქეთ-იქიდან მოისმის: მერე ავირჩიოთ, ეხლა არ გვინდაო.. თავმჯდომარე თურქოშვილი აყენებს მეორე კითხვას იარაღის ტარების შესახებ. ამ კითხვაზე ასტყდა საშინელი ღრიანცელი. თავზე ხელაღებულები ყვირიან: ამხანაგებო! იარაღსა გვყრიან და აბა ჩქარა ესროლეთ მათო... მეორე მხარეზე დგებიან თუშები და შეგნებული ქართველი ჯარისკაცები და ემზადებიან იარაღით თავდაცვას ბრბოსაგან. წუთები საშინელია. მისული დელეგატები შუაში დგანან და ორივე მხარიდან ტყვიას ელიან, თოფებს გაექვთ ჩხაკა-ჩხუკი და საკმარისია, რომ ერთი გავარდეს, თუნდა შემთხვევით, რომ მთელი თელავის მიდამო სისხლით შეიღებოს. დელეგატების და ზოგიერთი აფიცრების მუდარამ გადაარჩინა ჯარი სისხლის ღვრას. თავაშვებულები განაგრძობენ თავიანთ უმზგავსო თარეშს. მილიცია და წითელი გვარდია დარაჯათ უდგას თელავს, რომ გადაარჩინოს ძარცვას. საჭიროა დახმარება, ვისგანაც ჯერ არს.

მეთვალყურე.

სოფ. ლადიში (პატარა ონის საზოგადოება). 2 თებერვალს შესდგა სოფ. ლადიშის, ბაჯის და შავრის მცხოვრებთა საერთო ყრილობა. გასარჩევი კითხვები იყო, კოოპერატივის გახსნა, ლადიშის საკრედიტო ამხანაგობის ბანკის საშვალო ადგილზე გადმოტანა, სამკითხველოს გახსნა და გამგეობის წევრთა არჩევნები, სკოლისა და სიმინდის შეძენის საქმის მოწესრიგება. კოოპერატივის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ჭელიძემ. მან ურჩია ყრილობას სამმა სოფელმა ლადიშმა, ბაჯმა და შავრმა ერთი კოოპერატივი გახსნან სოფ. ლადიშის სასწავლებელთან, რამოდენიმე პირების ჩაგონებით ყრილობამ მოითხოვა ცალკე თავთავიანთ სოფელში გახსნან კოოპერატივი. კენჭის ყრით გადაწყდა, რომ გაიხსნას სამი სოფლისათვის ერთი კოოპერატივი სოფ. ლადიშის სასწავლებელთან, მოწინააღმდეგები დაიმუქრენ ამ საქმეს ჩაშლითო. სოფ. ლადიშის ამხანაგობის ბანკის გადმოტანა საშვალო ადგილზე ყრილობამ სასურველათ სცნო, ეს ბანკი ჩაუგდია ხელში მღვდელს ფოფხაძეს და დაარსებიდან ხუთი წლის განმავლობაში გემრიელ ლუკმათ გამხდარა მისთვის. ამხანაგობამ არც კი იცის ბანკი რა მდგომარეობიში იმყოფება.

სამკითხველოს შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ჭელიძემ. როგორც მოხსენებიდან სჩანს სოფ. ლადიშის არსებულ ორ კლასიან სასწავლებელთან უნდა გაიხსნას წიგნთსაცავ სამკითხველო სამი სოფლის ლადიშის, ბაჯის და შავრის სახელზეო. სამკითხველოსათვის სახლის სასყიდლათ მომხსენებელ ამხ. ი. ჭელიძეს მიუღია თფილისიდან თანამგრძნობ-ამხანაგებში მოგროვილი ვ. ფარჯანაძისაგან 86 მან. ა. ჭელიძისაგან 149 მან. ლ. კერესელიძისაგან 102 მან., ა. მღვდელაძისაგან 188 მან. სულ 525 მან. მაგრამ სიძვირის გამო ამ ფულით სახლის ყიდვა არ მოხერხებულა. მომხსენებელი აცხადებს, რომ წიგნთსაცავ სამკითხველო იხსნება დღეიდან 2 თებერვლიდან ლადიშის სასწავლებლის ერთ ოთახში დროებით. აგრეთვე მომხსენებელი კითხულობს შემომწირველთა სიას. შემომწირველი ყოფილა 135 კაცი. ყრილობამ მხურვალე მადლობა გამოუცხადა შემომწირველთ. სამკითხველოს გამგეობაში აირჩიეს ამხ. ვარ. მღვდელაძე, ამხ. ი. ჭელიძე და შ. მესხაძე.

სკოლის საქმე უკიდურეს მდგომარეობაშია, ეზო შეუღობავი და გაპარტახებულია. მასწავლებლები არა გვყავს, ბავშვები უსწავლელი გვრჩება. ვინაც მოვიდა მასწავლებლათ სოფ. ლადიშში მალე გაიქცა აქედან და სწავლა აღზრდის საქმე შეფერხებულია, ყრილობამ დაადგინა დაჩქარებით ყურადღება მიექცეს ლადიშის სასწავლებლის საქმის მოწესრიგებას. სიმინდის შესახებ ყრილობამ გადასწყვიტა: ბევრს აქვს სიმინდი გასასყიდი, მაგრამ სპეკულიანტობას იწევიან და არ ყიდიან განსაზღვრულ ფასებში, ხალხი კი შიმშილით იხოცება, ამიტომ ვისაც სარჩოზე ზედმეტი სიმინდი და ლობიო ექნება უნდა ჩამოერთვას და უნდა მიეყიდოს ვისაც სულ არა აქვს.

თელი.

ახალ-ქალაქის რაიონი (გორის მაზრა). რადგანაც ამ ბოლო დროს აქაც იჩინა თავი ანარქიამ და მკვლელობამ რაიონის რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა მიიღეს ზომები, რომ დაეარსებინათ წითელი გვარდია. გვარდიაში უმთავრესათ ეწერებიან დაბრუნებული ჯარისკაცები, ჯერჯერობით მთელ რაიონში ორას კაცამდეა წითელ გვარდიაში ჩაწერილი. გვარდიის შედგენას, მისი შეიარაღების და ხელმძღვანელობის საქმეს აწარმოებს მთელი რაიონის ორგანიზაციების მიერ არჩეული სამხედრო თავდაცვის კომიტეტი, რომელშიც წევრებათ შედიან ყველა საზოგადოების თითო წარმომადგენელი. ასეთი წესით არჩეული გვარდია შედარებით უფრო საიმედოა. გვარდიას მიზნათ დასახული აქვს უმთავრესად ანარქიის და კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა. რაც გვარდიამ მოქმედება დაიწყო რევოლიუციონური წესრიგის დარღვევა ნაკლებათ ხდება: უაზრო და უმიზნო თოფის სროლა, დაცემა, მკვლელობა თითქმის აღარ ხდება. სოფლათ ბოლო ეღება აგრეთვე მიწების დატაცება მითვისებას და ტყეების გაჩეხვას. ზომებია მიღებული აგრეთვე მაგარი სასმელებით ვაჭრობის და ლოთობის წინააღმდეგ. არყის ხდა სრულიად აკრძალულია თითქმის ყველა სოფელში. ამ ნაირათ განსაღვრულ რევოლიუციონური რაზმის დაარსებამ ხელი შეუწყო ანარქიის მოსპობას და რევოლიუციონური წესრიგის აღდგენას. ხალხი თანაგრძნობით ეპყრობა გვარდიის დაარსებას და თითქმის ყველა სოფელი მოწადინებულია საკუთარი გვარდია იყოლიოს, რისთვისაც მოითხოვენ იარაღს. სამწუხაროთ ხალხის შეიარაღების საქმე ვერ არის შესაფერ ნიადაგზედ დაყენებული. ცენტრებიდგან იარაღს აძლევენ უწესრიგოთ და უსისტემოთ, ანგარიშს არავინ უწევს იმ ცენტრებს, საიდგანაც იარაღს თხოულობენ—შედეგი კი ფრიად სამწუხარო ფაქტებში გამოიხატება: იარაღი უვარდებათ ისეთ პირთ, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ რევოლიუციის და ხალხის ინტერესის დაცვის საქმესთან. პირიქით ისინი იარაღს სწორეთ ხალხის საწინააღმდეგოთ იყენებენ და ბნელ საქმეებს აწარმოებენ. რომ ეს არ მოხდეს და ხალხის შეიარაღებამ საწინააღმდეგო შედეგი არ მოუტანოს, საჭიროა უფრო გონივრული და მიზანშეწონილი დამოკიდებულება შეიარაღების საქმესთან. არც ერთ კერძო პირს ანუ კერძო სოფელს არ უნდა ეძლეოდეს იარაღი და უმაღლესმა ცენტრმა უნდა აწარმოვოს ეს საქმე ადგილობრივ ესე იგი სამაზრო, სარაიონო, ცენტრების საშვალებით, მაშინ იარაღი საიმედო პირებს ჩაუვარდებათ ხელში და გვარდიის საქმეც მკვიდრ ნიადაგზე იქნება დაყენებული. საჭიროა აგრეთვე, რომ გვარდია სამხედრო გაწვრთნის მხრივაც შესაფერ სიმაღლეზედ იდგეს, რისთვისაც მცოდნე პირები, სამხედრო ინსტრუქტორებია საჭირო ყველა რაიონში.

აგრარული მოძრაობა ამ ბოლო ხანებში ანარქიულ ხასიათს ღებულობს გლეხების მხრივ, რის თავიდან ასაცილებლათ აუცილებლათ საჭიროა მიწის საკითხის დაჩქარებით მოწესრიგება და მიწის დეკრეტის რეალურათ განხორციელება, რისთვისაც საჭიროა ინსტრუქცია და ინსტრუქტორები.

გ—ი.

ქალ. ახალ-სენაკი. 17 თებერვალს, ღამით ვიღაც შანტაჟისტმა წაუკიდა ცეცხლი პირველ-დაწყებით სასწავლებლის შენობას, ცეცხლი ვერ ჩააქრეს და დაიწვა. აგერ ერთი თვე არ არის, რაც ასეთი ბოროტ-მოქმედება ორ-ხელ არის გამეორებული. პირველად წაუკიდეს გიმნაზიის შენობას, და პირველ დაწყებით სასწავლებელს. ეს არის კულტურის განადგურება, კულტურის მოსპობა!

სენაკის მცხოვრებნი ვალდებული არიან ენერგიული ზომები მიიღონ შანტაჟისტების აღმოსაჩენათ, რომ ღირსეულათ დასაჯონ და ასეთ ბოროტ-მოქმედებას სამუდამოთ ბოლო მოუღონ. გუშინ ერთს შენობას წაუკიდეს ცეცხლი, დღეს მეორეს და ხვალ იქნებ მთელი ქალაქი გადაიწვან. **სერიოჟა მინდაძე.**

ფონდი

მივიღეთ ლიუბა ღლონტისაგან მისი დის სოფიოს ხსოვნის აღსანიშნავათ 10 მანეთი „ერთობის“ ფონდის სასარგებლოდ.

ამხ. ალექსანდრე ბოჭორიშვილისაგან—6—50 კ.

— პარტიულ სტამბის სასარგებლოთ მივიღეთ ამხ. პ. სამსონიასაგან 3 მან.

დავკარგე ჯარში გასაწვევი მოწმობა № 265, მოცემული თფილისის სადგურის კომენდანტისაგან 1914 წლის, 19 ივლისს ამოწერილი ამ. კავკ. რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს მესანათის ნიკოლოზ კაზიმახარის ძე ბედოევის სახელზე, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ზემოხსენებულ მოწმობას ვსთვლი გაუქმებულათ.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეგრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
იღებს ყოველ დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დაავათმყოფებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: სოლოლაკი, გუდოვიჩის ქუჩა № 6, ეზოში მე-3 სართული.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მდივანოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ვ. გ. გუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი ვ. გ. ვეშხაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ. რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
გ. დოხნინი
ყოფილ ასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

თფილისის სახელოსნო კლუბი
კვირას, 25 თებ., დილის 10 ს. გამგეობისაგან დანიშნულია კლუბის წევრთა
საერთო კრება
კრების მიზანია სარევიზიო და სარეკომენდაციო კომისიის წევრთა არჩევა.

სახალხო სახლი
სახალხო სახლ. არსებ. ქართ. წარმოდგენების მმართველი წრე.
კვირას, 25 თებერვალს, წარმოდგენილი იქნება:
ყაჩაღები
ტრაღ. 5 მოქ. 8 სურ. შილლერისა, თარგ. ავალიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ვ. მარგველაშვილი. ბ.ბ. ანაშვილი, ბადრიძე, გოცირიძე, ალ. იმედაშვილი, მინდიაშვილი, მამაჯანოვი, მეტრეველი, იმერელი, თავდგირიძე, კობახიძე, ალ. შანშიაშვილი.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ◆ ადგილების ფასი 1 მ. 40 კ.-დან 35 კ.-დე.
შემდეგი წარმოდგენა 27 თებერვალს. რეჟისორი კ. შათირიშვილი.

კვირას, 25 თებერ., სახალხო უნივერსიტეტის შენობაში
(მიხეილის ქ. 91)
შესდგება გაზეთ „ბორბის“ მეპაეთა
საერთო კრება
დღის წესრიგი: 1) დროებითი საგამომცემლო კომისიის მოხსენება, 2) სარედაქციო კოლეგიის მოხსენება, 3) ბეჭდვითი ბიუროს არჩევა, 4) საგამომცემლო კომისიის არჩევა, 5) სარევიზიო კომისიის არჩევა, 6) საგამომცემლო საზოგადოების ორგანიზაცია, 7) მიმდინარე საქმეები.
ვინაიდან კრებაზე განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები, ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს აუცილებლად დაესწრან.
საჭიროა აგრეთვე კრებას დაესწრან საოლქო კომიტეტის, თფილისის კომიტეტის და რაიონულ კოლექტივების წარმომადგენლებიც.
2—1 კრება გაიხსნება საღამოს 5 საათზე.

პური და ნავთი
22 თებერვლიდან საუბნო საბარათო ბიუროებში დაიწყო პურისა და ნავთის ბარათების დარიგება.
სახლის კომიტეტები ბარათებს მიიღებენ რიგის გარეშე.
ბარათების მისაღებათ საჭიროა კომიტეტებმა წარადგინონ საუბნო საბარათო ბიუროებში სასურსათო ბარათები და სახლში მცხოვრებთა სია, რომელშიაც თვითეულ პიროვნების გვართან აღნიშნული უნდა იყოს მათივე სასურსათო ბარათის ნომერი. კერძო პირებს კი პურისა და ნავთის ბარათები მიეცემათ სასურსათო ბარათების წარდგენის თანავე.
კოლექტიურ ბარათებს იძლევა საბარათო სისტემის განყოფილებასთან არსებული საპურო ბიურო. კოლექტიური ბარათები მიეცემათ მხოლოდ საავადმყოფოებს, ინტერნატებს და მის მაგვარ დაწესებულებებს.
3—1 ქალაქის გამგეობის საბარათო სისტემის განყოფილება.

ვაგზლის კერძო სამკურნალო.
შიხიევის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
იღებენ ექიმები-სპეციალისტები:
ექ. ბოკერია ია.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. ვაშაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.
რჩევა ერთი მანეთი, აპერაცია შეთანხმებით.

კანტორა
„განათლების“
აგენტებს ეგზავნება შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „ერთობა“, „Борьба“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ახალი კვალი“, „პირველი ნაბიჯი“, „ფაიქარი“, „თეატრი და ცხოვრება“, „Республика“ და სხვა ყველა ახლად გამოსული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. კანტორაში იყიდება აგრეთვე ნოე რამიშვილის ცნობილი წიგნი „ისტორიული მატერიალიზმი“, ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, კალენდრები, პეტროგრადიდან მიღებული რუსული წიგნაკები, საოლქო კომიტეტის ყველა გამოცემები. ნისიათ გაზეთები და წიგნები არავის არ გაეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96. С. Р. Тавартки-ладзе. ტელეფონი № 3—44.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, ჯაბიევის შესახვევი, № 1.